KUSAN LANGAUKA

„ჩუმი სიზმარი“ – 17 წლის ბიჭის მიერ დანახული ჩუმი სამყარო თავისი ნათელი და რუხი ფერებით.

დაახლოებით თავისივე ასაკის სმენადაქვეითებული ნიკოს სხეულში ჩასახლებული ავტორი ფაქიზად გადმოსცემს მის ფიქრებს და შეგვახსენებს: ნიკო ჩვენნაირია!

ავტორი: საბა სულხანიშვილი

მხატვარი: დაჩი მთიულიშვილი

ISBN 978-9941-8-0027-6

9 789941 800276

IOS 2017
ADVERTISING & PRINTING COMPANY

ჩუმი სიზმარი

ნიკო...

ყოველთვის მომწონდა ჩემი სახელი. მთელი 18 წელია ნიკო მქვია. მომწონს, როცა სახელით მომმართავენ, თუმცა უკვე 2 წელია ჩემი სახელი არ გამიგონია.

2011 წლის 6 აპრილს მივიღე საფეთქლის ძვლის ტრავმა. ამის შემდეგ სმენადობა სრულად გამიქრა და სამყაროს აღქმის უნარი ნახევრად დავკარგე. ძალიან ძნელია ასე ცხოვრება. უხმო ბგერები და ჩუმი სიზმრები მტანჯავენ. ყრუ ადამიანი მხოლოდ სიყრუის გამო ვერ მეტყველებს. მე შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ არ ვლაპარაკობ, მეშინია... ამას პირველად ვაღიარებ. მარტო როცა ვარ, მაშინაც არ ვლაპარაკობ, უბრალოდ ვიღებ კალამს და სისხლს ვადენ ბოლო წვეთამდე. ამ 2 წელში ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხე. ჩემმა ძიძამ მითხრა, ფანტაზიის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა. გენიალურია - 18 წლის ვარ და ძიძა მყავს. დედაჩემი (ნინა) მთელი დღე მუშაობს და მე საჭმლის გაკეთება არ ვიცი, თან ნინა მარტო ვერ მტოვებს სახლში. მგონი ზედმეტად ზრუნავს ჩემზე, მაგრამ დედაა... სხვათა შორის, ჩემს ძიძას საუკეთესო კალიგრაფია აქვს.

მამა 2001 წელს გარდაიცვალა სიმსივნით. ბუნდოვნად მახსოვს.

მეგობრები არ მყავს.

დღეს სახლში მარტო ვარ. მიყვარს მარტო ყოფნა, მაგრამ, როცა ამას შევიგრძნობ, ცოტა ცუდი მომენტია. გარეთ წვიმს. მიუხედავად ამისა, გასეირნება გადავწყვიტე. ჩავიცვი და გავედი. არაფერს არ ვაკეთებ, უბრალოდ დავდივარ და ხალხს ვაკვირდები. უხმოდ ყველაფერი სხვაგვარადაა. ვუყურებ ადამიანების რეაქციას; მიმიკებით და ემოციებით ვხვდები, რომ ყველაფერი ყალბია. ხმა ამის დანახვაში ხელს შემიშლიდა. საერთოდ იშვიათად მხვდება ადამიანი ბედნიერი სახით. მეც არ მაქვს ბედნიერი სახე, მაგრამ, როცა დავინახავ ადამიანს, რომელიც იღიმის და ამ ღიმილში სიყალბე არაა, როცა თვალები ბედნიერებას გადმომცემენ, მეც მას ვემსგავსები და სახე მინათდება. იმ უცხო ადამიანს თავისი ბედნიერებით მოაქვს ჩემთვის ბედნიერება. შეიძლება ითქვას, რომ ემოციის მანიაკი ვარ. სხვისი ემოციების ხარჯზე ვიღებ სიამოვნებას. რა თქმა უნდა, თუ ემოცია ნამდვილია და ვხვდები, რომ გულიდან მოდის.

დავდივარ ნაგვით სავსე ქუჩაში. ბედნიერი სახე არავის აქვს. ალბათ წვიმა არ უხარიათ. წვიმა არც მე მომწონს, მაგრამ ახლა რატომღაც მსიამოვნებს. წვიმის გადაღება რომ აბედნიერებდეს ადამიანს, შევეცდებოდი, წვეთისთვის მეთქვა, თუ რა მოსდის, როცა დედამიწას ეხეთქება, როგორ სკდება და ნაწილებად იშლება, ეს რომ იცოდეს წვეთმა, ალბათ წვიმა არც წამოვიდოდა. თუმცა, ვფიქრობ, ამის შემდეგ ადამიანი მაინც უკმაყოფილო იქნებოდა და მაინც ექნებოდა მიზეზი, რომ ბედნიერი არ ყოფილიყო.

აქეთ-იქით დარბიან, ყველას ეჩქარება. მე ნელი ნაბიჯით მივუყვები სველ ქუჩას და ვეძებ ადამიანს, რომლის ემოციაც გამახარებს. ვერ გავიგებ, მაგრამ ისიც გამახარებს, რომ ვინმემ გამაჩეროს და რამე მითხრას. ერთხელ ერთმა გოგომ შემაჩერა, რაღაცას მეუბნებოდა, შეიძლება სიგარეტი უნდოდა ან საათი აინტერესებდა. არ მესმოდა. ამოვიღე ფურცელი და კალამი, მივაწოდე, ვანიშნე, დაეწერა, რასაც ამბობდა. ჯერ დაიბნა, შემომხედა და... ფურცელი ხელებში მომაჩეჩა, თვალებში შემომხედა და წავიდა.

— იდიოტი ხარ! — ასე ეწერა.

არაფერი დამიშავებია, უმიზეზოდ მიღებული აგრესია. რამდენიმე წუთი გაშეშებული ვიდექი, მერე ისევ ჩემი გზა გავაგრძელე.

წვიმა იკლებს. მგონი გაიგონეს წვეთებმა ჩემი ფიქრები. ვუახლოვდები ჩემს საყვარელ მიწისქვეშა გადასასვლელს. ყოველთვის მომწონდა აქ გავლა, იმიტომ, რომ ცუდი სუნის მაგივრად სარკმევლის და სარეცხი ფხვნილების სუნი იგრძნობა. ამის მიზეზი ორი მაღაზიაა: პირველი - საეკლესიო და მეორე - ფხვნილების. ჩავედი და ნაცნობი სუნიც ვიგრძენი. გასასვლელში ერთ წერტილს მივაშტერდი და ნელ-ნელა მივუახლოვდი. მარტო ამ სუნს ვგრძნობ და თითქოს მიწის ქვეშ კი არა, სადღაც ჰაერში ვარ დაკარგული. ფიქრიც მომყვება, მაგრამ ვერ მეწევა. რეალობას ვიღაც ქალმა დამაბრუნა - მხარი მომარტყა, ცოტაც და დავეცემოდი. გაიარა, არც მოუხედავს, მეც ამოვედი და დავუბრუნდი ჩუმ თბილისს. ისევ ყალბი ღიმილი და მშრალი სახეები. დღეს არ გამიმართლა. ვერავის თვალებში ვერ დავინახე ნამდვილი ემოცია, ვერ გავბედნიერდი. და მაინც... თუ სხვას არ შეუძლია გამაბედნიეროს თავისი ბედნიერებით, იქნებ მე თვითონ ვიზრუნო ჩემს ბედნიერებაზე და სხვაზე არ ვიყო დამოკიდებული. მგონი ახალი ემოციები მჭირდება. ახალი განცდები, რათა გავბედნიერდე, გავიღიმო, მერე ჩემი ღიმილი სხვას გადაედოს და ასე გავრცელდეს. თუმცა, პრობლემა ის არის, რომ ყველა ვერ აღიქვამს ასეთ ბედნიერებას. რაღაც უნდა შევცვალო ამ 5 დღეში. შეიძლება მომავალში ვერავის ბედნიერი სახის დანახვა

ვერ შევძლო. ამაზე ფიქრი მაშინებს.

წვიმამ გადაიღო. საათს დავხედე - 11:07 გამხდარა. ფიქრში გართული სახლიდანაც შორს წამოვსულვარ. უკან ტაქსითი წავალ. ჯერ ფურცელზე დავწერე, სადაც მინდოდა წასვლა, ბოლოში ისიც დავუმატე, რომ ყრუ ვარ და ვერ ვმეტყველებ. ტაქსი გავაჩერე. წარწერა ფანჯრიდან მივაწოდე, ცოტა უცნაურად შემომხედა და მანქანა უცებ დაძრა, ჩემი ნაწერი გადმოაგდო და გუბეში ჩავარდა. არა უშავს, შევეცდები გავუგო ამ კაცს. ახალი ფურცელი ამოვიღე, ისევ დავწერე და შემდეგი ტაქსი გავაჩერე. პირდაპირ ჩავუჯექი და ისე მივაწოდე ნაწერი. ამან გამიღიმა, არც ისე ბევრი კბილი აქვს, მაგრამ მისი ღიმილი მესიამოვნა. წავედით. დავიწყე მანქანის შეფასება: თამბაქოს სუნი დგას. წინა მინაზე, გვერდითა სარკეზე და საჭეზე სტიკერია დაკრული - მე მიყვარს რაჭა - ალბათ რაჭველია. ამოვიღე კალამი და დავწერე.

— რაჭა ლამაზია ?

შუქნიშანზე რომ გაჩერდა, ვანახე. ცერა თითით მანიშნა, მაგარიაო, მგონი რაღაც მუსიკა აქვს ჩართული და თავისთვის მღერის. მერე კიდევ დავწერე.

— ახლოსაა ?

კალამი გამომართვა და დამიწერა.

— თუ არ ხარ ნამყოფი, ბევრი რამე გაქვს სანახავი.

კეთილი კაცი ჩანს. 40-45 წლის იქნება. სევდიანი თვალები აქვს, მაგრამ სახე მაინც უღიმის. მხიარულადაა, ალბათ დღეს ბევრი მგზავრი ჰყავდა. მთელი გზა იღიმოდა, თავს აქანავებდა და მღეროდა. რომ მივედით, დავუწერე.

— ნომერი და სახელი დამიწერე, ტაქსი თუ დამჭირდა, მოგწერ.

ეს რომ წაიკითხა, უფრო გამხიარულდა. დამიწერა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. მობილურში ჩავიწერე „გოჩა ტაქსი“.

სახლში ავედი, ნინა კიდევ არ არის მოსული. ნათლულის დაბადების დღეზეა წასული. მე არ გავყევი, ხალხმრავლობა ბავშვობიდან არ მომწონს. კომპიუტერი ჩავრთე და „ჩარლი ჩაპლინის“ ყურება გადავწყვიტე. ერთი ეპიზოდი არ ვიცი და იმის ყურება დავიწყე. ვიხალისე. უცნობი ეპიზოდი მესიამოვნა. ისე რაჭაც ხომ უცნობია ?! გამახსენდა გოჩა, რაჭა არ მაქვს ნანახი, იქნებ მართლა ბევრი რამე მაქვს სანახავი. შემიძლია წავიდე და ახალი ემოციები შევიგრძნო. ამ ფიქრებმა ამიტაცა და უცებ ნინაც ჩამეხუტა. ფურცელი მომაწოდა.

— მოვედი ნიკო.

სულ ასე აკეთებს. მომწონს ეს პროცესი. რაჭაზე ფიქრმა ისე

მომხიბლა, პირდაპირ დავუწერე.
— ზეგ რაჭაში მივდივარ.
გაიცინა, ჰგონია, ვხუმრობ. კიდევ დავუწერე.
— მართლა.
ახლა უკვე თვითონაც დამიწერა.
— რა გინდა რაჭაში?
— მაინტერესებს.
სახე შეეცვალა; მიხვდა, რომ არ ვხუმრობ.
— გამორიცხულია!
— ზეგ წავალ და მაზეგ ჩამოვალ.
— არა!
— თუ არ გამიშვებ, სამსახურში რომ წახვალ, გავიპარები!
დაიძაბა. ეს არ უნდა დამეწერა, ცუდად გამომივიდა, ჩამოჯდა.
— რა გინდა რაჭაში?
მეორეჯერ მეკითხება, ახლა უნდა დავარწმუნო, რომ იქ წასვლა ჰაერივით მჭირდება.
— ერთი ღამით წავალ, მაინტერესებს, ხომ შეიძლება ცოტა ხანში ვერაფერი ვნახო...
თვალები აუწყლიანდა.
— მაგას ნუ ამბობ.
— დასამალი რა არის?
წერისას ხელები უკანკალებს.
— მეც გამოგყვები.
— შენ მუშაობ, ერთი ღამით გამიშვი, არაფერი მომივა.
მერე საცოდავი სახე მივიღე. ვიცი, რომ გამიშვებს. ამდენ ხანს არ დამიჯდებოდა, დამიწერდა - ნიკო ჯერ პატარა ხარ - შუბლზე მაკოცებდა და ტელევიზორს მიუჯდებოდა. პატარა არ ვარ. მე ყრუ ვარ. ესაა პრობლემა.
— ნიკო შენზე ვდარდობ.
გამიშვებს.
— ვიცი, დედა, მაგრამ რეალობას თვალი გაუსწორე. მარტომ მინდა რამე გავაკეთო. ვნახო ის, რაც სულ მემახსოვრება, რაც არ უნდა მოხდეს, მარტო მინდა წავიდე და ერთი ღამით იქ დავრჩე. კარავს კახას გამოვართმევ, არაფერი მომივა, გპირდები (კახა ნათლიაჩემია).
— კახასთან ერთად გაგიშებ
— არავის გამოყოლა არ მინდა!
დავუწერე. მივეცი და ჩემს ოთახში გავედი. ზუსტად 7 წუთში შემოვიდა დაწითლებული თვალებით. ნაწერი მომცა.

— მიყვარხარ, ვერ დავუშვებ, რომ რამე დაგემართოს, მესმის შენი. რომ გაგიშვა, ვიცი, ყველაფერს თავს გაართმევ, მაგრამ მეშინია.

ჩავეხუტე.

— ზეგ დილის 9 საათზე წავალ.

ვიცოდი, რომ დამთანხმდებოდა. ჯერ დიდი ლექციის წაკითხვა მომიწევს, უნდა დამარიგოს ნინამ.

გამიმართლა რომ დედაჩემია.

02:03

ვწევარ და ჭერში ვიყურები, სრული სიბნელეა, მოსალოდნელ სანახაობაზე ვფიქრობ. ბალიშმა ფლირტი რომ დამიწყო, მალევე ჩამეძინა.

11:27

გავახილე თვალები. სკამზე ნინას წერილია: საღამოს მოგიტან კახას კარავს. ეს იმიტომ დაწერა, რომ შეეშინდა, მართლა არ წავსულიყავი. რა თქმა უნდა, ამის გამკეთებელი არ ვარ. ეგ დაუფიქრებლად დავუწერე.

საღამომდე რაჭის სურათებს ვათვალიერებდი და რუკებით ვსწავლობდი გზებს. ნინა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა და კარავი მომიტანა. ჯერ ძიძა გაუშვა, მერე ჩანთა ჩამილაგა, ჭურჭელი დარეცხა, ფანჯრები დაწმინდა, ოთახი დამილაგა, ვერ ისვენებს ერთ ადგილას. ბოლოს, როცა საჭმლის გაკეთება დაიწყო, ნაწერი მივაწოდე: „ნუ ნერვიულობ“. თვალები აუცრემლიანდა და ჩამეხუტა. გვერდზე დამისვა და ყველაფერი გამომკითხა, რას როგორ ვაპირებდი. დავუწერე, რომ დილით „გოჩა ტაქსი“ წამიყვანს სადგურამდე და მერე მარშუტკით წავალ რაჭაში. სურათების საშუალებით კარგად გავეცანი იქაურ ადგილებს და გადავწყვიტე, შაორის ნაპირზე გავშალო კარავი. ლამაზი ადგილი ჩანს. მინდა ეს დღე მალე გავიდეს, რომ წავიდე. ვეღარ ვითმენ. გოჩა უკვე გავაფრთხილე, რომ ჩემს სახლთან მოვიდეს 08:33 საათზე. მე და ნინამ ვივახშმეთ, წყალი გადავივლე და მალევე დავწექი. ცუდზე არ ვფიქრობ, მარტო რაჭა და იქაური ბუნება. ცოტა უცნაურია, ისედაც არაფერი მესმის და მაინც სიმშვიდეს ვეძებ. უცებ ჩემი ოთახის კარი ნინამ შემოაღო, არ შევიმჩნიე, ვითომ მძინავს. ჩემს სავარძელში ჩაჯდა და მიყურებს, მგონი ლაპარაკობს, სახეს ვერ ვხედავ. მერე ადგა, დამხედა და გავიდა. ძალიან ნერვიულობს, მაგრამ ჩემი ბედნიერების გამო მიშვებს რაჭაში. ყველაფერი სწორად გამიგო — მიხვდა, რომ რაღაც ახალი მჭირდება.

07:37

თვითონ გამაღვიძა. ავდექი, წყალი გადავივლე, თავი გამოვიფხიზლე, საოცარ განწყობაზე ვარ. ყველაფერი მიხარია. ნინამ საუკეთესო ჩაი გამიკეთა (ან ახლა მომეჩვენა ასე). როცა სადმე მივდივარ, წინ მიდგას და მელაპარაკება, თმას მისწორებს, თუნდაც მაღაზიაში მივდიოდე, მეც თავს ვუქნევ და ვუღიმი. მის გასაგებად ბგერები არ არის საჭირო, ისედაც ყველაფერი კარგად მესმის. ახლაც ასე იქცევა, კართან ვდგავართ და მესაუბრება. ჩანთა მოვიკიდე და დაბლა ჩავედით, გოჩა მოსულია. ნინა გაესაუბრა, მერე დაკეცილი ნაწერი მომაწოდა და ჩამეხუტა. დავუჯექი გოჩას და წავედით. ნაწერი გზაში გავხსენი. „მიყვარხარ“. გამაჟჟჟრიალა.

მერე გოჩამაც მომაწოდა ნაწერი, როგორც ჩანს წინასწარ დაწერა, დანომრილია.

1. თუ ხვანჭკარაში მოხვდები, მომწერე და ჩემი ახლობლები გიმასპინძლებენ.
2. თუ რამე გაგიჭირდა, მომწერე და ჩემი ძმა მოვა, სადაც არ უნდა იყო.
3. თავს გაუფრთხილდი!

მგონი გოჩა ჩემზე ზრუნავს, კი, ნამდვილად ასეა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობია. კარგი ადამიანია. უცებ თავში რაღაც გიჟურმა აზრმა გამიარა. ფურცელზე დავუწერე და წავაკითხე: „თბილისის გასასვლელში დამტოვე, ავტოსტოპით წავალ“. ცოტა დაიბნა, მაგრამ წამიყვანა. ფული არ გამომართვა. ხელი ჩამოვართვი და გზაზე დავდექი. მელოდება, სანამ ვინმე არ გამიჩერებს. კეთილი ადამიანი მალევე გამოჩნდა, გოჩა დაელაპარაკა. გორამდე წამიყვანს. ჩავჯექი და გავუდექი თავგადასავლის ბილიკს. სარკიდან ხშირად მიყურებს უცნაურად, არაფერს ამბობს, ან რა უნდა თქვას... მანქანას საკმაოდ სწრაფად ატარებს, გორის შესასვლელთან 27 წუთში მივედით. ხელი ჩამომართვა და გზა გააგრძელა.

მარჯვენა ხელზე „მადლობა“ დავიწერე მარცხენაზე — გამარჯობა. მერე იქვე მიგდებული კარდონის ყუთის ნაგლეჯზე დიდი ასოებით დავწერე — „რაჭა“. ისევ ველოდები კეთილ ადამიანს, რატომღაც მინდა, რომ დიდმა მანქანამ გამიჩეროს და მთელ გზას მაღლიდან ვუყურო. თუმცა რა აზრი აქვს, მთავარია, რაჭაში დაღამებამდე ჩავიდე. ნინამ რომ გაიგოს, თუ როგორ ვმგზავრობ, მაშინვე აქ გაჩნდება. ახლაც, სავარაუდოდ, ბევრს ნერვიულობს, მობილური ხელში უჭირავს და ელოდება, როდის მივწერ. დაპირების თანახმად, საათში ერთხელ უნდა მივწერო და ვუთხრა: სად ვარ, როგორ ვმგზავრობ და ა.შ.

გამიმართლა, მზე ამოდის, არ იწვიმებს. აქამდე ბოლო 3 დღე

წვიმდა. რაჭაშიც თუ მზე დამხვდება, ჩავთვლი, რომ ამინდმა ჩემი გაბედნიერება გადაწყვიტა. ეს ფიქრები უცებ შავმა მანქანამ გამაწყვეტინა, რომელმაც გამიჩერა, მაგრამ ცოტაც და ფეხებზე გადამივლიდა, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ფანჯარას ჩაუწია, 20-23 წლის ბიჭი ზის. რაღაცას მეუბნება, გამარჯობის ხელი ვანახე, ხელი ამიწია. კალამი და ფურცელი მივაწოდე, რომ დაეწერა, კიდევ მელაპარაკება. მერე ფურცელზე ვანიშნე, ეცინება. ხელი ჩაიქნია და დაწერა: „რა მოწიე ბრატ?“ რა უნდა მომეწია, ჩემთვის ვდგავარ, ხელებსაც არ ვამოძრავებ, მგონი დამცინის. დავიბენი, კალამი გამოვართვი, რომ დამეწერა, მაგრამ არ მაცალა. ყალბი ღიმილი თვალებზე ამაფარა და გზა გააგრძელა.

ხშირია მსგავსი შემთხვევა და უკვე აღარ მწყინს. თავიდან ძალიან გამიჭირდა ამასთან შეგუება. ტრავმის შემდეგ სამი თვე სახლიდანაც არ გავდიოდი. შემდეგ მივხვდი, რომ ეს უარესი იყო და ნელ-ნელა შევეჩვიე ახალ, ჩუმ გარემოს. სახლიდან როცა გავდივარ, ყოველთვის მიმაქვს ორი კალამი და ერთი სასაუბრო ბლოკნოტი. პირველ გვერდზე მიწერია „ყრუ ვარ და ვერ ვმეტყველებ“. არ მომწონს სიტყვა „ყრუ“, არც „მუნჯი“. ბევრი დისკომფორტს განიცდის ჩემთან ყოფნის დროს. არ ვიცი, რატომ. არ ვიცი, სიყრუე გადამდები ჰგონიათ თუ უბრალოდ არ მოვწონვარ ხალხს?! იმედი მაქვს, ჩემი მდგომარეობა დღევანდელ მგზავრობაში ხელს არ შემიშლის. ცოტა დავიძაბე, იქ რომ გოჩა არ მყოლოდა, ალბათ ის კაციც ასე გააგრძელებდა გზას. გადავწყვიტე „რაჭა“ - ს უკან მიმეწერა ზუსტად იმ ბლოკნოტის პირველი ფურცელივით — „ყრუ ვარ და ვერ ვმეტყველებ“. ცოტა უსამართლოდ გამომდის, ჯერ არ გამიცნია ადამიანი და უკვე ვატყუებ, რომ ლაპარაკი არ შემიძლია. მეპატიება, მგონი ასეა საჭირო. ნინას მივწერ. მისთვისაც ტყუილის თქმა მომიწევს. თბილისში რომ ჩავალ, ყველაფერს მოვუყვები. ამოვიღე მობილური და მივწერე - მარშუტკამ ცოტა დააგვიანა, ახლა გორს ვუახლოვდები, ძალიან ნელა დადის. ამით თან დავამშვიდებ, რომ უსაფრთხოდ ვმგზავრობ. ზუსტად ერთ წუთში მომწერა: „კარგი ნიკო“. როგორც ვივარაუდე, ტელეფონი ხელში ეჭირა და ჩემს შეტყობინებას ელოდებოდა. ორი სიტყვა მომწერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უნდოდა მოეწერა, ხომ არ მცივა ან ხომ არ მშია, უკან დაბრუნება ხომ არ გადავწყვიტე და მსგავსი რამ. მოგვიანებით ისევ მივწერ.

მიჭირავს წარწერა, გზაზე ვდგავარ და ხალხის სახეებს ვუყურებ, რომლებიც თვალს მაყოლებენ, როცა ჩამივლიან. ზოგი მარტოც არის, მაგრამ არ აჩერებს. ალბათ ბევრს რიგითი ხულიგანი ვგონივარ.

დიდხანს დგომა არ მომიწია, მორიგი კეთილი ადამიანი გამოჩნდა. ფანჯარას ჩაუწია. ჩემს მხარეს 10-11 წლის ცისფერთვალება გოგო ზის და საჭესთან ასევე ცისფერთვალება, წვერიანი კაცი. სავარაუდოდ, მამა-შვილია. ორივე სასიამოვნოდ მიღიმის. ჯერ გამარჯობის ხელი ვანახე, მერე „რაჭა“, მერე მოვატრიალე და მეორე წარწერა. ორივეს სახე შეეცვალა. იმ კაცმა რაღაც თქვა და უკანა კარები ვიღაცამ გააღო. რომ შევიხედე იქაც ბავშვი იჯდა - ხუჭუჭა, ცისფერთვალება 7-8 წლის ბიჭი. გვერდზე მიიწია და მეც დავჯექი. წავედით. კეთილმა კაცმა ამ ბიჭს რაღაც უთხრა და უცებ მან ჯიბიდან კალამი ამომაცალა, ალბათ საუბარი მოგვიწევდა, ფურცელიც მივეცი და დამიწერა, რასაც ის კაცი ეუბნებოდა.

— წერა-კითხვა იცი?

თავი დავუქნიე.

— გაგვეცანი.

— მე ნიკო ვარ, თქვენი სახელებიც მითხარით.

— მე თომა ვარ, ჩემი და ანაბელი და მამაჩვენი დათა.

ნელა და ლამაზად წერს. წერისას პატარაზე ენა აქვს გამოყოფილი, თვალები უბრწყინავს, აშკარად მოსწონს ეს სიტუაცია.

— რაჭაში მიდიხარ?

— დიახ, თქვენ?

ლამაზი ოჯახია. ანაბელი შემოტრიალებულია და მიღიმის. დათა მეუბნება, თომა მიწერს, ყველაფერი მარტივადაა.

— ჩვენ ზღვაზე მივდივართ და შეგვიძლია თერჯოლის გადასახვევამდე მიგიყვანოთ.

— გამიმართლა, მადლობის ხელი ვაჩვენე.

— რამდენი წლის ხარ?

— მე 18. თქვენ?

— მამა 37 წლისაა, ანა 11 და მე 8

სწორად ვივარაუდე. მე აღარაფერი დავწერე, ისევ დათამ თქვა რაღაც და თომამ დამიწერა.

— მარტო რატომ მიდიხარ რაჭაში?

აქ ცოტა დავიბენი. მგონი კარგი იქნება, თუ სიმართლეს ვეტყვი. ან იქნებ ისევ ტყუილი... ბევრი კითხვები არ მინდა, შესაძლოა, ზოგს ვერც ვუპასუხო.

— ერთი ღამით მინდა დავრჩე და მერე ისევ თბილისში დავბრუნდე.

ახლა ყველას გაკვირვებული სახე აქვს. სიმართლეს ვამბობ და ბუნებრივია, ასეც მოხდებოდა. ცოტა ხანს ერთმანეთში ილაპარაკეს. ვფიქრობ, დადებითად განეწყვნენ ჩემ მიმართ. მერე თომა

მომიტრიალდა და დამიწერა.
— შეიძლება ახლა მე გკითხო?
თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.
— კატები გიყვარს?
— კი. შენ?
— მეც მიყვარს, სახლში გვყავს, ზაქრო ქვია და ვნერვიულობ.
ზაქრო... გამეღიმა.
— რატომ ნერვიულობ?
— თბილისში დავტოვეთ ბებიასთან. მამამ, ზღვაზე ვერ გაძლებსო.

მეც მყავდა კატა. 14 წლის რომ ვიყავი, მეზობელმა მაჩუქა. სულ პატარა იყო, ალბათ ერთი თვისაც არ იქნებოდა. 3 ფერის ბეწვი და დინჯი ხასიათი ჰქონდა. ეკატერინა დავარქვით. ასეთი კატა არ მყავდა ნანახი, თამაშითაც ძალიან იშვიათად თამაშობდა. თუმცა, მოფერება უყვარდა. ჩვენთან ერთად ადამიანივით დაჯდებოდა ტელევიზორის საყურებლად. თავისი დივანი ჰქონდა და სულ იქ ეძინა, ტელევიზორის გვერდით. სტუმარი რომ მოსულიყო, არ ადგებოდა, არც აინტერესებდა, ვინ იყო. დასაჯდომი რომ არ ყოფილიყო სახლში, მის ადგილს მაინც ვერავინ გაეკარებოდა. თუ მოხდებოდა იშვიათობა და ვინმე დაიკავებდა მის ადგილს, არც მოერიდებოდა, თავზე დინჯად ააცოცდებოდა, შეაწუხებდა და აიძულებდა, სხვაგან გადამჯდარიყო. იმ ადგილიდან სამზარეულო და მისაღები ოთახი კარგად ჩანდა. თავისებური კატა იყო ეკატერინა. მერე იყო ჩემი ტრავმის ამბავი და ბებიაჩემმა წაიყვანა სოფელში. იმის მერე არ მინახავს, არც ჩავსულვარ იქ. კარგია, რომ გამახსენდა. მესიამოვნა.
— მართალია მამა, კატებს წყალი არ უყვართ.
— არ მოვენატრებით?
— შეიძლება, მაგრამ მალე ჩახვალ და ეთამაშები.

გაიღიმა და ბედნიერმა ნაპერწკალმაც გაიარა. ყველაფერი იდეალურადაა. მერე თუთიყუშზე მომიყვა, კურდღლებზე, სათამაშო იარაღებზე და ჯარისკაცებზეც ბევრი ვწერეთ. რიკოთამდე მალევე მივედით, დრო სასიამოვნოდ გავიყვანე. დათამ რესტორანთან გააჩერა. მეუხერხულება, არც მშია, მაგრამ უნდა გავყვე, სირცხვილია. მანქანიდან რომ გადავედით, თომამ ხელი მომკიდა და მაგიდამდე ასე მივედით, დავმეგობრდით. სანამ საჭმელს მოიტანდნენ, დათამ მკითხა, მშობლებმა თუ იცოდნენ ჩემი რაჭაში წასვლის შესახებ. არ მინდოდა, ცუდად გამომსვლოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ტყუილი გამოვიყენე. დავუწერე, რომ იქ ბიძაჩემი მელოდებოდა. მეტს აღარ მოვიტყუები. ნინამაც მომწერა.

— როგორ მგზავრობ?
აღარ მოვიტყუები - თქო და შევასრულებ.
— ახლა რიკოთთან ვარ. საჭმელად გავჩერდით. რაჭაში რომ ჩავალ, თვითონ მოგწერ.
— კარგი ნიკო.

ისევ ისე ნერვიულობს და ცდილობს ეს არ მაგრძნობინოს. ყველაფერი მესმის.

მე, ანაბელი და თომა წეროებს ვთამაშობთ. ვერ მოვიგე, ალბათ დათას ჰგონია, რომ სპეციალურად არ ვუგებ, მაგრამ მართლა ვერ ვიგებ. მსგავს თამაშებს გადავეჩვიე. საჭმელი ვერ ვჭამე, ცოტა წავიკიკნე, არ მშია. შემიყვარდა ეს სამი საყვარელი ადამიანი. დათა მზრუნველი მამა ჩანს.

აი, მამაჩემი... მამაჩემი, არ ვიცი.

მერე ისევ მანქანაში ჩავჯექით და გზა გავაგრძელეთ. ცოტა ცივა. დავიღალე. ფანჯარას თავი მივადე და გარეთ ვიყურები. ვერაფერს ვხედავ, იმდენად ღრმა ფიქრში ჩავეშვი წარსულის შესახებ, რომ მგონი აქ აღარ ვარ. თან მეღიმება სულელივით. ის დრო მახსენდება, როცა ჯერ კიდევ მესმოდა და ყველაფერს ვგრძნობდი. ყველაზე უცნაური ახლა ის არის, რომ არც ერთი ბგერა არ მახსოვს. უნდა მახსოვდეს ბავშვის სიცილი, ძაღლის და მანქანის ხმა. ახლა ყველაფერს ერთნაირი ხმა აქვს, სიჩუმის. მინდა მახსოვდეს. როცა მეუბნება ნინა „ჩემო ნიკო“ მახსოვს, როგორც ამბობდა, თვალები, ტუჩების მოძრაობა, მაგრამ ბგერები... ბგერები მხოლოდ სიჩუმეს გადმომცემენ. ისევ მტკივნეული ფიქრი, მაგრამ რაღაცით სასიამოვნო. ამ წუთას ვერაფერს ვხედავ და არაფერი მესმის. გასაკვირია, რომ ვსუნთქავ. თვალები მეხუჭება. გარეთ ცისფერი ცა მუქდება, მგონი აცივდა. მანქანაში გამათბობელი ჩაირთო, მერე დაცხა. ფანჯარას ჩავუწიე და ცივი ჰაერი შემოვარდა, მანქანაში ჩემი კლიმატური სარტყელი შევქმენი და გათოვდა, ჰოო, მანქანაში თოვს... ცივი და თბილი ჰაერის შერწყმის შედეგად თოვლი წამოვიდა. ანაბელი პატარა თოვლის ბაბუებს აკეთებს, თომა გუნდებს მესვრის, მაგრამ ჩემამდე ვერ აღწევს, შორს ვარ. დათა ბილიკს წმენდს გასავლელად. მე მანქანის ჭერს ვუყურებ, საიდანაც თოვლი მოდის. თვალებში მეყრება, მაგრამ თბილი ფანტელებია და მსიამოვნებს. გარშემოც თბილა. მერე თოვლზე დავწექი და თვალები დავხუჭე.

მერე...

მერე თომამ გამაღვიძა. ჯერ მისი სავსე, კაშკაშა თვალები დავინახე, შემდეგ წარწერა „გადასახვევს ვუახლოვდებით “. დიდხანს მეძინა. დათა სარკეში მიყურებს და მელაპარაკება, მაგრამ...

ისევ რეალობას დავუბრუნდი. უხმო ბგერები და ჩუმი სიზმრები. რატომღაც არ მინდა ამ სამ ადამიანს მოვშორდე, რაჭაში რომ არ მივდიოდე, გავყვებოდი. დათამ მანქანა გადასახვევთან გააჩერა. ყველანი გადმოვედით. მანქანიდან ჩანთა ამოვიღე, ბავშვებს გადავეხვიე, დათამ ხელი ჩამომართვა, თავისი ნომერი მომცა და წავიდნენ. თომა უკან იყურება და ხელს ვუქნევთ ერთმანეთს. თვალს მოეფარნენ და მეც გზა გავაგრძელე. თავს კარგად ვგრძნობ. არ მოველოდი ამხელა გზის ასე მარტივად და სასიამოვნოდ გამოვლას. ისევ მიჭირავს წარწერა და მორიგ კეთილ ადამიანს ველოდები. რამდენიმე წუთში „ქუთაისი-ტყიბულის“ ავტობუსმა გამიჩერა. ფული მაქვს, მაგრამ არ მინდა ასე მგზავრობა, მაგრამ მაინც მივედი მძღოლის მხარეს და წარწერა ვანახე. ცოტა უცნაურად შემომხედა, მერე ხელით მანიშნა, ამოდიო და მეც დასაჯდომად წავედი, კარები მგზავრმა გამიღო. ავედი. ყველა მიღიმის. მხოლოდ ერთი ადგილია თავისუფალი ბოლოში და მეც იქ დავჯექი. გვერდზე ქალბატონი მიზის, ქუდს ქსოვს. ერთხელ გამიღიმა და მერე ისევ ქსოვა გააგრძელა. ლამაზი, გრძელი, ნაოჭა ხელები აქვს. ალბათ ტყიბულამდე ქუდის დასრულება სურს. გზაში შვიდი მგზავრი ჩავიდა. მძღოლი რაღაც ამბებს ყვება დიდი განცდებით და მომენტალურად ყველა იცინის ხოლმე. არ მესმის, რას ყვება, მაგრამ მეც მეღიმება, აქ თითქოს ყველა ბედნიერია. ბოლო გაჩერებაზე მალე მივედით. ქალმა ქსოვა დაასრულა. ყველა ჩავიდა, მძღოლი ჩემთან მოვიდა. მადლობის ხელი ვანახე, გაეღიმა. იქვე მაგიდაზე მანიშნა და ჩამოვჯექით. კალამი თვითონ ჰქონდა, მე ფურცელი მივეცი. სათვალე გაიკეთა და დამიწერა.

— ქართველი ხარ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— რამდენი წლის ხარ?

უცნაური კალიგრაფია აქვს, ასოებს ძლივს ვარჩევ. ახლა მეც დავუწერე.

— 18.

— რა გქვია?

— ნიკო, თქვენ?

ჩაწითლებული, ნაღვლიანი და წყლიანი თვალებით მიყურებს, გრძელ ულვაშში ღიმილიც ეპარება. 50-53 წლის იქნება.

— მე კარლოს მეძახიან, რაჭველი კაცი ვარ, რა გინდა აქ?

პაპა კარლო გამახსენდა და გამეღიმა.

— შაორის ნახვა მინდა, ერთი ღამით წყლის პირას უნდა დავრჩე.

— არ გეშინია?
ცოტა დავიბენი.
— არა.
— ანუ თბილისში ხვალ მიდიხარ, ხო?
თავი დავუქნიე.
— დილით 9 საათზე ჩამოვივლი შაორთან და თუ გინდა, გაგიყოლებ.
— თბილისამდე?
— ხო. ხვალ თბილისში მივდივარ.

გამიხარდა, ისედაც არ ვაპირებდი ავტოსტოპით წასვლას. სასიამოვნო კაცია კარლო. თავზე ხელი გადამისვა, გამიღიმა და წამოდგა. მანქანისკენ წავიდა, მეც ხელით მანიშნა, წამოდიო. დაჯდა და მეც ჩავჯექი, მაგრამ არ ვიცი, რატომ. წავედით. მინდა ვკითხო, რას ვაკეთებთ... მერიდება. ტყიბულის გასასვლელში დამტოვა, დამიწერა აქედან ადვილად წახვალო, ისიც შემახსენა, 9 საათზე ჩამოვივლიო და წავიდა. გამაკვირვა თავისი სიკეთით. უანგარო სიკეთის ექსპერტია პაპა კარლო.

არ მინდა დავიჯერო, რომ დათა, გოჩა და კარლო ჩემი სიყრუის გამო მომექცნენ ასე კარგად. არ მინდა ვეცოდებოდე.

ახლა ისევ გზაზე ვდგავარ. რაჭას ქვემოდან მივაწერე „შაორი“. საპირისპორო მხარეს ურმით მოხუცი კაცი მოდის. რაღაცას ელაპარაკება თეთრ ბებერ ცხენს, შეიძლება მღერის. არ ვიცი. ჩამიარა და ხელი ამიწია. მეც ავუწიე კარგი ნაცნობივით. რაღაც პოზიტიურია ამ ხალხში. ჯერ სიყალბეს არ შევხვედრილვარ (მგონი). უცნაური და სასიამოვნოა. ახლა ცოტას ვივლი, წარწერა ჩანთაზე მივიმაგრე და გზას გავუყევი: ერთი, ორი, სამი, ოთხი. არაფერზე არ ვფიქრობ, მარტო ნაბიჯებს ვითვლი: ოთხმოცდათვრამეტი, ოთხმოცდაცხრამეტი, ასი. ბავშობაში ერთი მეგობარი მყავდა, თუ არ ვცდები იდა ერქვა. ის კი ზუსტად ვიცი, რომ 99-ს ვერ ან არ ამბობდა. რომ ვეტყოდით, იდა, თქვი 99, ის ამბობდა: 100. დათვლის დროსაც 99-ს ტოვებდა, 98 და მერე პირდაპირ 100. იდა, თქვი 99. ის მაინც 100-ს ამბობდა. თავისებური ბავშვი იყო. მესიამოვნა ამ ამბის გახსენება, ნაბიჯების თვლა გავაგრძელე: სამას ოცდათორმეტი, სამას ოცდაცამეტი.

უცებ გვერდზე მანქანა გამიჩერდა. ალბათ წაიკითხა, რომ შაორისკენ მივდივარ. ფანჯარაში შევიხედე და გავშეშდი. მანქანაში 18-19 წლის გოგო ზის. საოცრად ლამაზია. გრძელი ქერა თმა, საოცარი ღიმილი აქვს. თვალებში მიყურებს. მისი თვალების უსასრულობაში დავიკარგე. ვერაფერს ვერ ვაკეთებ, გამარჯობის ხელი ავწიე. წარბები შეიჭმუხნა, რაღაცას მეუბნება. უცებ მივხვდი, რომ გამარჯობის ნაცვლად ის ხელი

ვანახე, სადაც მადლობა მეწერა. ხელი შევცვალე და გაიცინა. ღიმილს თუ არ შეწყვეტს, ცოტა ხანში სუნთქვა შემეკვრება. ისევ გაშეშებული ვარ. რაღაც ძალით მოვიფიქრე, რომ ამომეწია ნაწერი, სადაც შაორი ეწერა. გადმოიწია და კარები გამიღო, ალბათ უცხოელი ვგონივარ. დავჯექი, ხელი ჩამომართვა. როცა შემეხო, საოცარმა სიცივემ დამიარა. წარწერა ამოვატრიალე, სადაც ჩემს მდგომარეობაზე მიწერია. წაიკითხა და სულ გაფითრდა, ახლა ის არის ძეგლივით გაშეშებული. პერანგის ჯიბიდან კალამი ამომაცალა და ჩემს წარწერას ქვემოდან მიაწერა - „მეშინია“. ველოდები, როდის დამეცემა რამე და მოვკვდები. კარები გავაღე, უნდა გადავიდე, არ შემიძლია გავყვე, წამიერად ხელი ჩამჭიდა. ყველაფერი გაჩერდა: ჰაერი, სისხლი, გული. ვეღარ ვსუნთქავ. შემომატრიალა და ისევ დავჯექი. მერე ჩემი სასაუბრო ბლოკნოტი ამოვიღე, გადავშალე და დავწერე.

— არ მინდა გაშინებდე.

მერე იმან გამომართვა ბლოკნოტი, ოდნავ კიდევ შემეხო, შემცივდა.

— არ მომკლავ?

გამეღია, ალბათ ხუმრობს. თვითონაც გაეღიმა. აცივდა.

— მე ნიკო ვარ.

— მე მარია, ან მაშა. როგორც გინდა ისე დამიძახე.

სანამ მე დავწერდი რამეს, ბლოკნოტი გამომართვა და „დამიძახე“ წაშალა. მაგისთვის ყურადღება არც მიმიქცევია, საყვარელი ვინმეა. ვიყინები, ალბათ ვკანკალებ, მაგრამ ვერ ვაცნობიერებ ამას. მანქანა დაძრა და წავედით. ნელა მიდის, მუსიკას აუწია. დაბნეული ჩანს. სახეში ვერ ვუყურებ. გვერდზე ფანჯრის ერთ წერტილს მივაშტერდი ისე, რომ გარეთ ვერაფერს ვხედავ. მარიაზე ვფიქრობ, წამების წინ შევხედე და სახე არ მახსოვს. მალე ტყეში შევედით, გარშემო სულ ნისლია, გზაზე თითქმის არაფერი ჩანს. შეიძლება სიცივეც ამის ბრალია, რომ შუა ტყეში ვართ და ისეთი ნისლია, მზე ვერც აღწევს ჩვენამდე. ნელ-ნელა მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა. ჩემი კალამი და ბლოკნოტი აიღო, გადავიდა და მანქანის წინ დადგა. მაგდებს? დავიბენი. მეც გადავედი. უცნაური სახე აქვს. ნაწერი მომაწოდა.

— მომიყევი შენ შესახებ. სანამ ვიმგზავრებთ მინდა, ვიცოდე, ვინ ხარ.

აქაც ცოტა დავიბენი, მართლა ეშინია. ყველაფერს სიმართლეს ვეტყვი. არაფერს არ დავმალავ. სურვილი მაქვს, რომ, ყველაფერი იცოდეს. ბლოკნოტი გამოვართვი. თვითონ გარემოს დათვალიერება დაიწყო. მე წერა დავიწყე.

— ნიკო... ყოველთვის მომწონდა ჩემი სახელი. მთელი 18 წელია ნიკო მქვია. მომწონს, როცა სახელით მომმართავენ, თუმცა უკვე 2

წელია, ჩემი სახელი არ გამიგონია. 2011 წლის 6 აპრილს მივიღე საფეთქლის ძვლის ტრავმა. ამის შემდეგ სმენადობა გამიქრა და სამყაროს აღქმის უნარი ნახევრად დავკარგე. ძალიან ძნელია ასე ცხოვრება. უხმო ბგერები და ჩუმი სიზმრები მტანჯავენ. ყრუ ადამიანი მხოლოდ სიყრუის გამო ვერ მეტყველებს.. მე შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ არ ვლაპარაკობ... მეშინია... ამას პირველად ვაღიარებ. მარტო როცა ვარ, მაშინაც არ ვლაპარაკობ, უბრალოდ ვიღებ კალამს და სისხლს ვადენ ბოლო წვეთამდე. ამ 2 წელში ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხე. ჩემმა ძიძამ მითხრა, ფანტაზიის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა. გენიალურია - 18 წლის ვარ და ძიძა მყავს. დედაჩემი (ნინა) მთელი დღე მუშაობს და მე საჭმლის გაკეთება არ ვიცი, თან ნინა მარტო ვერ მტოვებს სახლში. მგონი ზედმეტად ზრუნავს ჩემზე, მაგრამ დედაა... სხვათა შორის, ჩემს ძიძას საუკეთესო კალიგრაფია აქვს. მამა 2001 წელს გარდაიცვალა სიმსივნით. ბუნდოვნად მახსოვს. მეგობრები არ მყავს.

რაც გამახსენდა, დავწერე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არც აინტერესებდეს, ჩემს ძიძას როგორი კალიგრაფია აქვს. მოკლედ, რაც არის არის. ხელი დავუქნიე, მოვიდა და ნაწერი მივეცი. ჯერ თვალებში შემომხედა, გამყინა. კითხვა დაიწყო. სანამ კითხულობს, ნაკვთებს ვაკვირდები, პატარა კურნოსა ცხვირი ლამაზი ეკალივით აქვს სახეზე, თეთრი ტუჩები და თმის ჰაეროვნება მაგიჟებს. თვალების ფერი ვერ დავადგინე, სულ თვალებში მიყურებს, მაგრამ მაინც. გრძელი, წვრილი და ნაზი თითებით უჭირავს ჩემი ბლოკნოტი. ყოველ შეხედვაზე უფრო და უფრო ლამაზდება, მე კიდევ კანკალს მაწყებინებს ეს სიტუაცია და ყველა სილამაზეს მავიწყებს, რაც აქამდე მინახავს. შემიძლია მთელი დღე მოუბეზრებლად ვუყურო. უცხო ფერის თვალები ნაწერის ბოლოს აქვს მიშტერებული. კითხვას მორჩა და არაფერს არ აკეთებს. ნაწერი მანქანაზე დადო, ხელებს იფშვნეტს, ალბათ მასაც სცივა. ნისლი გარს გვახვევია. მხოლოდ მას ვხედავ, გარშემო არაფერი ჩანს. ამომხედა, ოღონდ სხვანაირად, სახეში მიყურებს, მაგრამ თითქოს ვერ მხედავს. მისმა მზერამ ყინულიან წყალში ჩამაგდო. რაღაც მითხრა, მერე თავი გააქნია, გაახსენდა, რომ არ მესმის და კალამი აიღო. ჯერ დაწერა, მერე წაშალა, მერე ისევ დაწერა და წამაკითხა.

— ვიცი რომ არ გესმის. ფანჯარაში როცა იყურებოდი, ხმამაღლა დავიყვირე და შენ რეაქცია არ გქონდა.

ამაზე გამეღიმა, ექსპერიმენტიც ჩაუტარებია უკვე. ასეთი რამის შემდეგ მეგონა სხვა რამეს დამიწერდა.

— რაჭაში რა გინდა ?

ამაზე სრულ პასუხს ვერ გავცემ. ტყუილსაც არ ვაპირებ.

— 3 დღეში შეიძლება რაღაც შეიცვალოს და გადავწყვიტე, რაჭა მენახა, ერთი ღამით შაორზე მინდა დარჩენა. შენ რა გინდა აქ?

— მე მეგობართან მივდივარ ამბროლაურში.

ბლოკნოტი მომაწოდა და მობილური ამოიღო. ვიღაცასთან რეკავს. ცოტა იქით გავიდა, ჰგონია, მოვუსმენ, რასაც ილაპარაკებს. ვერ მიეჩვია იმას, რომ არ მესმის. თავიდან იღიმოდა, მერე სახე შეეცვალა, ქვაზე ჩამოჯდა. მგონი კარგი ამბავი არაა. ლაპარაკს რომ მორჩა, ცოტა ხანს იჯდა და ფიქრობდა. შემომხედა, ისეთი გამოხედვა აქვს, თითქოს რაღაცას მიპირებს, წაქცევას ან რამე მსგავსს. მოვიდა, ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი, მგონი „ბოდიში“ თქვა, კალამი აიღო და დამიწერა.

— შეიძლება დაღამებამდე შაორზე შენთან ერთად ვიყო?

უცნაურია, რამდენიმე წუთის წინ ჩემი ეშინოდა და ახლა...

— რა მოხდა?

— გუშინ ჩამოვედი თბილისში, ჩემი ბავშობის მეგობარი აქ ისვენებს და სიურპრიზად მინდა მივიდე მასთან, ახლა ბებიამისს ველაპარაკე და თურმე პაპამისს ფეხი მოუტეხავს. საავადმყოფოში წაუყვანიათ და ჩემი მეგობარიც იქ უნდა იყოს გვიანობამდე. იქ მისვლა არ მინდა. როცა ბებიამისი დამირეკავს, მეც წავალ.

მგონი ყველაფერი გასაგებია. ისე გუშინ ჩამოვიდა თბილისში. თემას შევცვლი.

— ლამაზია ხომ რაჭა?

— ხომ. ნისლი მომწონს

იდუმალი ადგილია, რაც აქ ვდგავართ, მანქანასაც არ გამოუვლია. შეიძლება იმიტომ გაჩერდა, რომ მხედველობა ბუნდოვანია ასეთი ნისლის დროს. აღარ ვიცი, რა ვკითხო, დაბნეული ვარ. ჯერ ვერ ვაცნობიერებ რა ხდება ჩემს თავს. ფეხზე დავიხედე და თასმა გახსნილი მქონია. გამიმართლა. ქვასთან მივედი და ნელ-ნელა ვიკრავ. თან ვფიქრობ, რა ვქნა. ფიქრმა პირდაპირ ის მითხრა, რომ ეს თასმის შეკვრა სულელური რამ იყო ამ მომენტში. შევიკარი, მივიხედე და მაგ დროს მაშამ სურათი გადამიღო. ამან უფრო დამაბნია ან დამაკომპლექსა. სწრაფი ნაბიჯით მივედი მანქანასთან, ძირს დადებული ბლოკნოტი ავიღე, რომელიც არ ვიცი, იქ რატომ დავდე და დავწერე.

— სურათი გადამიღე?

გაიღიმა, მხრები აიჩეჩა და მანქანაში ჩაჯდა. მეც დავჯექი. ცოტა ხანს ვიჯექით, არაფერი დაგვიწერია. მუსიკა აქვს ჩართული და გზას

გაშტერებული უყურებს. ვიტანჯები, ნორმალურად ვერც ვუყურებ. 3-4 წუთში მანქანა დაქოქა და გზა გავაგრძელეთ. ნელა მივდივართ, გზა ცუდად ჩანს. ნისლს მალევე გამოვცდით, სულ 3-ჯერ შევხედე, მეტი ვერ გავბედე. უხერხულია. ახლა რაღაც სოფელში ვართ. სურათების მიხედვით, შაორი ტყიბულის წყალსაცავის მერეა და წესით გზიდანვე უნდა დავინახო.

ძალიან ცუდი მგზავრი ვარ. ამას პირველ კეთილ ადამიანთან მივხვდი, გორამდე ვინც წამიყვანა. ვფიქრობ, იმიტომ აჩერებენ ავტოსტოპზე მანქანები, რომ ვინც იქ ზის, 70%-ს საუბარი უნდა გზაში. მე რომ მხედავს, აჩერებს, თავისთვის ამბობს, ხმის გამცემი მაინც მეყოლებაო, მე კიდევ ალბათ ყველაზე ცუდი მსმენელი და მოსაუბრე ვარ, ვისთვისაც შეეძლო რომ გაეჩერებინა. ძალიან დიდი ასოებით რომ დამეწერა გამაღიზიანებელი წინადადება, „ყრუ-მუნჯი ვარ“, ალბათ არავინ არ გამიჩერებდა. ამ ფიქრებმა ცოტა დამთრგუნა. არ ვიცი, შეიძლება მეჩვენება, მგონი უკვე დიდი ხანია მოვდივართ. შაორი ახლოს უნდა ყოფილიყო. ვეღარ ვჩერდები მანქანაში, შიგნიდან რაღაც მჭამს. მოუთმენლობა არ მასვენებს. ამ დროს წყალიც გამოჩნდა. გული ამიჩქარდა.

კარვის გაშლა ტბის დასაწყისში მინდა. რუკის მიხედვით ავარჩიე ადგილი. მახსოვს, გადასახვევი გზის პირას მდგომ კოშკთან იყო. ეს კოშკიც მალევე გამოჩნდა და მარიას ხელით ვანიშნე, რომ იქ ჩაეხვია. არ მჯერა, რომ ჩამოვედი, მანქანიდან გადახტომა მინდა. გზა იყო და თითქმის ნაპირამდე მივედით. გავჩერდით და მაშინვე გადმოვედი მანქანიდან. სწრაფი ნაბიჯით წყლისკენ წავედი და სიხარულისგან ვერც გავაცნობიერე, მუხლამდე წყალში როგორ შევედი. როცა მარიაც გვერდზე ამომიდგა, გაოცებულმა შევხედე, რა უნდოდა წყალში. მერე მივხვდი, რომ მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი. რატომ შემოვედი ან რატომ შემომყვა?! თვალებში მიყურებს და მიღიმის. მხრით ოდნავ დამეჯახა. იცინის. მე ხელი ვკარი, ოღონდ ნაზად. არ მინდა რამე დავუშავო. ძალიან სუსტი და დაუცველია. მერე ეს შეშლილი მუცელში დამეჯახა და ორივე წყალში ჩავვარდით. აქამდე ვიყინებოდი და ახლა წყლის სიცივესაც ვერ ვგრძნობ. წამოვდექი, მარიას ვეძებ, სიღრმისკენ მიცურავს, მეღიმება მის შეშლილობაზე, მაგრამ მეშინია, რამე არ მოუვიდეს. ხელს მიქნევს, შემოდიო. მე სამი ნაბიჯი უკან გადავდგი, მერე ისიც გამოვიდა. სიგიჟეა. თმას იწურავს და კანკალებს, არ მინდა კანკალებდეს. მანქანასთან მივედი და ჩემი ჩანთა გადმოვიღე. პირსახოცი ჩანთის ბოლოში ყოფილა, ამიტომ ყველაფრის ამოყრა მომიწია. გავშალე და თავზე მოვახურე. კი, ლამაზია, იმდენად

ლამაზია, რომ სამ წამზე მეტ ხანს ვერ ვუყურებ. თავი გაიმშრალა, სულ იღიმის, საოცარი ვინმეა. მერე ის მივიდა მანქანასთან. მივხვდი, რომ უნდა გამოიცვალოს და მე წყლისკენ შევტრიალდი. არემარის დათვალიერება დავიწყე. წყალი გამჭირვალე და დაწყნარებულია. შორს ნავით ერთი მეთევზე ჩანს, თავის ფიქრებში ჩაფლული. ალბათ ახლა აქაურობას არც ეკუთვნის. მომენტალურად ჩემ წინ წყალში ქვა ჩავარდა. მარიამ მესროლა. ეს იმისთვის, რომ მივტრიალებულიყავი. ახლა კეტები აცვია, თეთრი წინდები, შორტი და თეთრი მაიკა. სისუსტე უხდება. სანამ მე გამოვიცვლიდი, ის თავის ტანსაცმელს რეცხავდა. ნინას საკმარისზე მეტი ტანსაცმელი ჩაულაგებია, როგორ ჩაეტია ამდენი რამ, არ მესმის. მეც გავავლე ჩემი ტანსაცმელი და მანქანაზე დავალაგე გასაშრობად. კარგი ადგილიც იქვე იყო კარვის გასაშლელად. მაშაც იქ იჯდა. მარია, მაშა, ორივე ლამაზია. ხელში ჩემი ბლოკნოტი და ორი კალამი უჭირავს. წინ დავუჯექი, ნაწერი მომაწოდა.

— როგორ მიიღე ტრავმა?

დავიბენი, მე მეგონა მკითხავდა, რატომ შევედი წყალში ან ლამაზია თუ არა შაორი, ან რამე ნებისმიერი, ამის გარდა. გავიხსენო წარსულის მტკივნეული ნაწილი, განწყობა გავუფუჭო და მანაც მოიწყინოს, ეს რა თქმა უნდა, არ მინდა. თავს ავარიდებ.

— არ გვინდა ამაზე საუბარი.

— გვინდა.

ჯიუტია. არ მინდა ამაზე საუბარი, მაგრამ მისნაირი მკითხველი არ მყოლია და დარწმუნებული ვარ, არც მეყოლება. საინტერესო რამეა, დაწერს, მომაწვდის სასაუბრო ბლოკნოტს, მერე მე ვწერ და ასე...

გვინდა?!

— არაფერი განსაკუთრებული, წავიქეცი და სამი დღე კომაში ვიყავი, გამოვფხიზლდი და იმის მერე არაფერი არ მესმის.

— უბრალოდ წაიქეცი?

თავი დავუქნიე. გაუკვირდა. წარბები შეიჭმუხნა, ნახევრად თვალდახუჭულმა შემომხედა, გამეღიმა.

— სიჩუმე გესმის?

— არაფერი არ მესმის, სიჩუმეს ვგრძნობ.

— ლაპარაკის გეშინია?

— ხომ.

— სამ დღეში რა შეიძლება შეიცვალოს?

კიდევ... ჩემს მტკივნეულ წერტილებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვება. ჯიუტი და ცნობისმოყვარე ვინმეა. კარგი, ნიკო, ყველაფერი დავწეროთ.

დავწეროთ ის, რაც ძალიან ცოტამ იცის. ბლოკნოტი ისე დავიჭირე, რომ თან არ წაიკითხოს და წერა დავიწყე.

— 3 დღეში ვიკეთებ ოპერაციას. რომელიც აუცილებელია. ჩემი ტრავმა იმაზე სერიოზულია, ვიდრე მხოლოდ სიყრუე. საფეთქლის დაზიანების დროს დამიზიანდა ტვინის რამდენიმე უჯრედი, რომელიც ხელს უშლის მხედველობას. თუ ოპერაციას არ გავიკეთებ, ეს სხვა უჯრედებზეც გავრცელდება და საბოლოოდ კატასტროფა მოხდება. ოპერაციის შემდეგ არის შანსი, რომ არაფერი შეიცვალოს, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება სიბრმავითაც არ დავბრმავდე და სმენადობაც აღმიდგეს. 50/50- ზე. შეიძლება დავბრმავდე და ვერაფერი დავინახო, ამიტომ გადავწყვიტე აქ წამოსვლა და რაღაც ისეთის ნახვა, რაც არ მინახავს და დამამახსოვრდება. თუმცა ახლა ვხვდები, რომ ეს ყველაფერი დაუფიქრებლად გავაკეთე და ახლა არ ვიცი, რა გავაკეთო.

მეტს ვერ ვფიქრობ, აზრი ცუდად ჩამოვაყალიბე. გასაგებს გაიგებს და ცნობისმოყვარეობასაც მოვუკლავ. არ მინდა ვეცოდებოდე. როცა ვწერდი, სულ თვალებში მიყურებდა. ნაწერი მივეცი და ახლა მე დავუწყე ყურება. წყლის წვეთი ნაზად ჩამოუგორდა მხარზე, ვერ ვძღები მისი ყურებით. ამ წუთას ჩემი ცხოვრების ტრაგედია უცხო ადამიანს მოვუყევი, სიმართლე რომ ვთქვა, ცოტა მომეშვა. როცა კითხვას მორჩა, ბლოკნოტი დადო, ჩემთვის არც შემოუხედავს. წამოდგა და ჯიბიდან მობილური ამოიღო. ალბათ ურეკავენ. ისევ მოშორებით გავიდა და წყლისკენ იყურება. ცოტა უცნაურად მეჩვენება ეს სიტუაცია. მე არ ავდექი, ისიც მალევე დამიჯდა წინ, წყლიანი თვალებით. მგონი წერისას ხელები უკანკალებს.

— ძალიან ვწუხვარ და მადლობა, რომ მითხარი. ახლა შენ მკითხე რამე.

ყოჩაღ ნიკო, ხასიათი გაფუჭებულია, შეგიძლია მოკვდე. სულელი ვარ. ჩემი პრობლემები მისთვის არ უნდა მომეხვია. შევეცდები, სიტუაცია გავანეიტრალო, რაც არასდროს გამომდის.

— თბილისში საიდან ჩამოხვედი?

ცუდი კითხვაა, მაგრამ გამოდგება.

— ნახევრად ქართველი ვარ. დედა ქართველია, მამა უკრაინელი.

ახლა ყველაფერი გასაგებია. ამას აქამდეც უნდა მივმხვდარიყავი, დახრილ კალიგრაფიაზე და სახელზეც.

— შენი ნამდვილი სახელი რომელია?

— მარიას დედა მეძახის და მამა - მაშას. ისე მარია ვარ.

— იცი, მარია რას ნიშნავს?

თავი გაიქნია. ჩემმა რუსულის მასწავლებელმა მასწავლა

სახელების მნიშვნელობები და იქიდან მახსოვს.
— მარია - ზღვის ვარსკვლავი.
გაეღიმა. მსიამოვნებს, როცა იღიმის.
— ლამაზია, არ ვიცოდი.
ახლა რა ვქნა? არასდროს არ მისაუბრია ვინმესთან ამდენ ხანს. მიუჩვეველი ვარ და არ ვიცი, რა დავუწერო. მიხვდა, რომ აზრები გამომელია და თვითონ მოიფიქრა.
— „მე არასოდეს“ იცი?
რაღაც თამაშია ბავშობაში ვთამაშობდი ხოლმე. თავი დავუქნიე. მანქანისკენ წავიდა, რაღაც პარკი გადმოიღო, ისევ წინ დამიჯდა და შოკოლადები გადმოყარა. ხუთი მე მომცა, ხუთი თვითონ დაილაგა. ერთი ფურცელი ამოხია და დაწერა.
— გამოცნობაზე თითოს შევჭამთ, მე არასოდეს გამიპარსავს წვერი.
შევჭამე, გემრიელია.
— მე არასოდეს ვყოფილვარ საზღვარგარეთ.
იმანაც შეჭამა, პირს თითქმის არ ამოძრავებს, საოცრად ნაზია.
— მე არასოდეს მითქვამს სხვისთვის თავისი სახელის მნიშვნელობა.
— მე არასოდეს ვყოფილვარ 21 წლის.
— მე არასოდეს ვყოფილვარ ბიჭი.
ორივეს გაგვეღიმა. ჩემს სიყრუეს არც ეხება. სწორად გამიგო, სასიამოვნოა.
— მე არასოდეს მქონია მართვის მოწმობა.
ორი შოკოლადი დაგვრჩა.
— მე არასოდეს მიჭამია ხინკალი.
ვეღარ ვფიქრობ, რა ვუთხრა. მე არასოდეს...
— მე არასოდეს გადამიღია სხვისთვის ფოტო.
გაეღიმა და მობილური ამოიღო, სურათი მანახა. ბავშვივით გავწითლდი.
— მე არასოდეს მძინებია კარავში.
კარავი სულ დამავიწყდა, საათს დავხედე და 17:03 ყოფილა. კარავი, ნინა. რა დრო გასულა. ცოტა ავნერვიულდი, უფრო ნინაზე.
— რა მოხდა ?
ალბათ სახეც შემეცვალა.
— კარავი არ გამიშლია.
წამოდგა, დარჩენილი შოკოლადიც შეჭამა და მანქანისკენ წავიდა, მეც გავყევი. კარავი გადმოიღო, ძლივს ერევა. გამოვართვი და შერჩეულ ადგილას დავიწყე აწყობა. ცოტა მარიაც მომეხმარა, ამხელა აღარ მახსოვდა ეს კარავი. ახლა რომ ვუკვირდები,

მართლა რა დაუფიქრებლად წამოვედი აქ. რას მოველოდი ? ხომ შეიძლებოდა ახლაც გორის შესასვლელთან ვყოფილიყავი... არ ვიცი, ცოტა სულელურად მოვიქეცი. უცებ მომინდა რაღაც, რაც მეგონა, რომ ტკივილს დამავიწყებდა, ნინამაც ხელი შემიწყო. ნინა... ნინა? არც მიმიწერია, რომ ჩამოვედი. მაშინვე მობილური მოვიმარჯვე და მივწერე.

— ჩავედი, კარგი ამინდია. კარავი გავშალე და დაღამებას ველოდები. ძალიან ლამაზია აქაურობა.

მალევე მომწერა.

— რამე ხომ არ გჭირდება?

რომ დავეთანხმო, დაუფიქრებლად მიატოვებს ყველაფერს და აქ წამოვა.

— არა, ნუ ნერვიულობ. სანამ დავიძინებ, კიდევ მოგწერ.

— კარგი ნიკო, ჭკვიანად.

მარია? მარია წყლის ნაპირზე დგას, საოცრად ლამაზია. რაღაცაზე ჩაფიქრებულია. თვითონ ფიქრია მარია. აბსტრაქტულად გადაქცეული. ჩანთიდან ნინას გაკეთებული სენდვიჩები ამოვიღე და მასთან მივედი. თავს არ მარიდებს, დისტანციაც არ აქვს. თვალებში ყურება ახლაც არ ეთაკილება. სენდვიჩი მივეცი და შემდეგ ისევ იმ ადგილას დავჯექით „სასაუბროდ“. ისევ მან დაიწყო.

— არ გეშინია?

აი, კიდევ ერთი ძალიან დამაბნეველი კითხვა.

— რისი უნდა მეშინოდეს?

მხრები აიჩეჩა, როგორც მაშინ, საყვარლად.

— 18 წლისას არ ჰგავხარ, ჩემზე დიდი მაინც უნდა იყო.

აღნაგობა მაქვს ასეთი. გარეგნულად მართლა დიდს ვგავარ.

— სიმართლე თუ გაინტერესებს, მე ისევ 15 წლის ვარ.

დაიბნა.

— ეგ როგორ?

— ჩვეულებრივად. მე ისევ 15 წლის ნიკო ვარ.

— წეღან ვის წერდი?

ძლივს, ცოტა ნორმალური კითხვა.

— დედაჩემს.

— იცის აქ რომ ხარ?

— კი და ცოტას ნერვიულობს.

— ხო, ბუნებრივია... ხვალაც ავტოსტოპით აპირებ წასვლას?

— არა ხვალ მარშუტკას გავყვები თბილისამდე. შენ როდემდე რჩები აქ?

— მე ალბათ 3 დღე.
— მერე თბილისში რჩები?
— ერთ თვეში ისევ კიევში წავალ და სამ კვირაში უკან საცხოვრებლად დედასთან გადმოვალთ მე და მამა.

არ მინდა, კითხვებით შევაწუხო. მინდა, ვკითხო, სად სწავლობს, ან დაოჯახებულია თუ არა, ან რაზე ფიქრობს, ან რატომ, რატომ არის ასეთი მშვენიერი. ყველაფერი მინდა ვიცოდე მასზე.
— მოდი, ახლა შენ მომიყევი შენზე. დაახლოებით ისე, როგორც მე.

ჯერ დაფიქრდა, მერე დამიწერა.
— კარგად ვერ ჩამოვაყალიბებ, მაგრამ შევეცდები.

თავი დავუქნიე და წამოვდექი. სანამ ის დაწერს, მე შეშას შევაგროვებ. რატომ მკითხა შიშზე? რისი უნდა მეშინოდეს? ოპერაცია, აქ დარჩენა. არ ვიცი... ტყისკენ წავედი. რომ დავბრუნდი ჯერ კიდევ წერდა, რაც მოვიტანე, იქვე დავყარე და უკან გავბრუნდი. ახლა ცოტა შორს წავედი, დავბრუნდი და ის ისევ წერს. სამი დაკუჭული ფურცელი გვერდზე უდევს. ალბათ ვერ ჩამოაყალიბა სწორად, მაგრამ არ მივალ. ნაპირზე ჩამოვჯექი და იმ მეთევზეს მივაშტერდი. ისევ იქ არის. რომ შემეძლოს, სიამოვნებით ვისაუბრებდი მასთან. აქ სულ სხვანაირად ვსუნთქავ, მგონი ჩემს ფილტვებსაც ვგრძნობ. ან არა, მეჩვენება. ვიცხოვრებდი აქ. აქ დავბერდებოდი და აქ მოვკვდებოდი. ბევრი კატა და ერთი დიდი ძაღლი მეყოლებოდა. ზუსტად ამ ადგილას დავჯდებოდი წელიწადში ოთხჯერ და დავხატავდი გრძნობას, ისეთივე განსხვავებულს, როგორიც წელიწადის დროებია. მაგრამ თუ, თუ ჩემი თვალები... არ მინდა, არ ვიფიქრებ. აქ მაინც არ ვიფიქრებ ამაზე. საშინელებაა. ტკივილის ზუსტად გადმოცემა შეუძლებელია, ვერც ერთი სიტყვა ვერ აღწერს შინაგან ტკივილს. ფერადი ფიქრები გამინაცრისფერდა, არ მინდა, სულ გაშავდეს და გაქრეს. ეს ფიქრი მკლავს. მარიასკენ გავიხედე და ის თურმე უკან მიზის, მოულოდნელობისგან ცოტა შევხტი. გაეღიმა. არ ვიცი, რამდენი წუთია, რაც აქ ზის. ნაწერიც უჭირავს. გამოვართვი და დავიწყე.
— შენნაირად არ გამომივა, იმიტომ, რომ ახლა საერთოდ ვერ ვფიქრობ ჩემზე. იცი, მაშინ ვის ველაპარაკე ? არავის... ხოო, არავის. მოვიგონე. თავიდანაც არ მილაპარაკია ჩემი მეგობრის ბებიასთან. მაპატიე, რომ მოგატყუე. შენზე რომ მითხარი... ვერ გადმოვცემ, რა დამემართა, შეიძლება სახე შემეცვალა და მსგავსი რამ, მაგრამ შინაგანად ორმაგად და ათმაგად დიდ რამეს ვგრძნობდი და ვგრძნობ. დაბნევა, შიში, თანაგრძნობა, მოწყენა, სიხარული, ინტერესი - ყველაფერი ერთად შემომაწვა. ვფიქრობ, შენ ყველაზე საინტერესო ადამიანი

ხარ, ვინც აქამდე მინახავს. მართალია, ჩემთვის ბევრი არაფერი გითქვამს, მაგრამ მგონია, რომ უსაზღვრო შინაგანი სამყარო გაქვს და მინდა მეც გამიზიარო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ერთი სიტყვაც არ გითქვამს, მინდა მთელი დღე გესაუბრო. არ გეგონოს, რომ მეცოდები და იმიტომ გიწერ ამას, უბრალოდ... უბრალოდ, არ ვიცი რა ვთქვა. მაპატიე, თუ რამე ცუდად გამომივიდა.

ეს რომ წავიკითხე, თითქოს ჩემი გულის ფეთქვის ხმა გავიგონე. მინდა წყალში შევიდე და გავქრე. რომ შევტრიალდე, რა უნდა გავაკეთო, ვერც შევხედავ. არ ვიცი, რა დავარქვა ამას, არც შიში, არც სიმორცხვე, რაღაც სხვა არის, რაც აქამდე არ განმიცდია. ვზივარ და ნაწერს ვუყურებ ბრმად. ჩემს თვალებს ვხედავ. უნდა დავუწერო რამე, მაგრამ რა? კისრის მოტრიალების დროს თითქოს ძვლები მემტვრეოდა. შევხედე, გამიღიმა, ისევ მხრები აიჩეჩა, წამოდგა და ჩემი მოტანილი ფიჩხის დამტვრევა დაიწყო. თვითონ მაპოვნინა გამოსავალი. იცოდა, რომ ასე დამემართებოდა. მივედი და მეც დავიწყე დამტვრევა. მარიას ვერ ვუყურებ. ვცდილობ, მე გავცე ჩემს კითხვებს პასუხები. თუ არავისთან ულაპარაკია, სად მიდის და რა უნდა აქ? რატომ გაითამაშა მობილურზე ლაპარაკის სცენა? არ იცოდა, რა ექნა და გამოსავალი მაგაში იპოვა? არ ვიცი. თავში იმდენი ფიქრი მიტრიალებს, ვერც ვაცნობიერებ, რას ვაკეთებ. გამოვფხიზლდი. მე ფიჩხს ვამტვრევ და კარვის წინ ვალაგებ. მარიას ქვები მოაქვს და წრეზე ალაგებს კოცონისთვის. მალევე მოვრჩი, ახლა მე უნდა ვიპოვო გამოსავალი. ავიღე სასაუბრო ბლოკნოტი და დავუწერე, გვერდზე მომიჯდა და წაიკითხა.

— ახლიდან ვიკითხავ. რა გინდა რაჭაში?

— ჩემს მეგობართან მივდივარ, მარტო მობილურზე არ მილაპარაკია, სხვა ყველაფერი სიმართლეა.

— იცის რომ ჩადიხარ?

— ჯერ არა და შემიძლია ხვალ დილით მივიდე მასთან

მოიცა. სამჯერ წავიკითხე. ანუ... არა. თუ... ეს? ფიქრშიც კი ჩამივარდა ენა. ახლა რა ვქნა? უნდა დავუწერო რამე, თუ ავდგე და ვითომ რაღაცას ვაკეთებ? გაიღიმა და მანქანასთან წავიდა. ტანსაცმელი შეამოწმა, გაშრა თუ არა. გადამარჩინა. მგონი დროა, ბანალური კითხვები გამოვუშვათ საასპარეზოდ. მოვიდა და დავიწყეთ. ჯერ შეკითხვები ჩამოვწერეთ, მერე ორივემ ჩვენთვის ვუპასუხეთ ცალ-ცალკე და ფურცლები გავცვალეთ. შედეგმა გამაკვირვა, ბევრი რამე გვაქვს საერთო. საყვარელ ფერზე გაირკვა, რომ ორივე დალტონიკი ვართ. საყვარელი რიცხვი 3 და 7. მასაც არ ეშინია სიბნელის და

ცხოველებზე ისიც ჩემსავით გიჟდება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მარიასაც ძალიან უყვარს „ჩარლი ჩაპლინის“ ყურება. ორივე სულ ახლის ძიებაში ვართ, მაგრამ სიახლის გვეშინია. წეროებიც ვითამაშეთ. სულ სამი წერო მიფრინავდა შორს. ისე შებოჭილი აღარ ვარ და ვბედავ ხანდახან შეხედვას. საოცრებაა. მის თითოეულ შეხებაზე სხეულის სიმსუბუქეს ვგრძნობ, თითქოს ჰაერში ვარ და ის მიჭერს, რომ უსასრულობაში არ გავქრე. მერე ცოტა ვჭამეთ. მზის ჩასვლასაც ვუყურეთ და შემდეგ ცეცხლი დავანთე. არ მინდა, ეს წუთები დასრულდეს. მასაც ვატყობ, რომ ბედნიერია და თითოეული წამით ტკბება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მინდა მარიას მთელ ჩემს ცხოვრებას მოვუყვე, ყველა დეტალს. მერე ის თავისას მომიყვება და ასე… თვალი გაუშტერდა ცეცხლისკენ, ტუჩებს ამოძრავებს. ბლოკნოტი გვერდზე მედო და დავუწერე.

— რას ლაპარაკობ ?

გაეცინა.

— ვმღერი.

მისი ხმა დაუვიწყარი იქნება. ძალიან მინდა მესმოდეს.

— მაინტერესებს.

წამოდგა და ცეკვა დაიწყო, ოდნავ იხრევა, სხეულით ნაზ მოძრაობებს აკეთებს და ხელებს იშვერს, ხან თავისკენ, ხან ჩემკენ. თმები სახეზე ეფარება, ცეცხლის შუქზე რაღაც ზღაპრულად ლამაზია მისი თმები. მე ვერ ვიცეკვებ, კომპლექსი მაქვს.

— დამიწერე მისამღერი.

შევეცდები შევიგრძნო და წარმოვიდგინო, როგორ მღერის. ჩამოჯდა და წერა დაიწყო, თან მღერის.

— Touch my neck and I’ll touch yours
You in those little high-waisted shorts, oh
She knows what I think about
And what I think about
One love, two mouths
One love, one house
No shirt, no blouse
Just us, you find out
Nothing that I wouldn’t wanna tell you about, no
‘Cause it’s too cold
For you here and now
So let me hold
Both your hands in the holes of my sweater.

ამან გამანადგურა. ალბათ ახლა ყველაზე მეტად მინდა, რომ მესმოდეს. არ ვიცი, თანახმა ვიქნებოდი, მოვმკვდარიყავი, ოღონდ მისი სიტყვები გამეგო. ეს მუსიკა არ ვიცი, ალბათ 2011 წლის შემდეგ გამოვიდა.

— ლამაზი სიტყვებია.

— ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუსიკაა, მელოდიაც კარგი აქვს.

არ მინდა სხვისი სიმღერის მოსმენა. მე მხოლოდ მისი მინდა მესმოდეს. წყლისკენ გაიხედა, გაღიმებულმა შემომხედა, დამიწერა, მომაწოდა და წამოდგა, რაღაცისთვის ემზადება.

— ბანაობა მინდა.

შეშლილია - თქო, აქამდეც ვაღიარებდი მაგას.

— ძალიან ცუდი აზრია.

სახე შეეცვალა, პატარა ბავშვივით საცოდავი სახე მიიღო და ტუჩზე იკმინა.

— რატომ?

— გაიყინები,

— ზღვის ვარსკვლავს გაგრილება უნდა.

კარგად დაიმახსოვრა.

— ეგ ზღვის ვარსკვლავი წყალში რომ ჩავიდეს, ჩაქრება და ვეღარ გაანათებს.

გაეცინა. სანამ წერს, ვუყურებ და ვტკბები, მართლა ვარსკვლავივით ლამაზია. არა, უფრო უკეთესიც.

— კარგი, აქ დარჩება ზღვის ვარსკვლავი, მაგრამ ასეც სცივა მას.

კარავში შევედი. ჟაკეტს მოვუტან და ნინასაც მივწერ. რომ ჩავალ, ყველაფერს ვეტყვი. ეს წუთები დაუვიწყარია.

— ძალიან ლამაზია აქაურობა. ცეცხლი დავანთე, დაღლილი ვარ და მალე დავიძინებ.

წამებში მომწერა.

— სად იყავი აქამდე? ხომ არ გცივა? ან ჭამე რამე?

ისევ ისე ნერვიულობს.

— შეშას ვაგროვებდი. ვჭამე და თბილად მაცვია, ნუ ნერვიულობ - მეთქი, ხომ გითხარი.

— კარგი, ჭკვიანად ნიკო, ღამე ის თბილი ჟაკეტი ჩაიცვი.

იმ ჟაკეტზე მითხრა, რაც მარიას უნდა მივუტანო. მე არ მცივა, მობილური ჯიბეში ჩავიდე და კარვიდან გამოვედი, მაგრამ მარია... ოღონდ ეს არა! გარშემო მიმოვიხედე და არსად ჩანს. დავიჯერო, მაინც ჩავიდა წყალში? მინდა, რომ ვცდებოდე. იქნებ მემალება. არა,

არაა! წყალთან მივირბინე. საშინელი გრძნობა დამეუფლა. გული სამჯერ უფრო სწრაფად მიცემს. რა უნდა მომხდარიყო, რა ვქნა?! ყველაფერი ერთად გამახსენდა, ბოლოს მისი თვალები... საკუთარი გრძნობები მმართავენ, გულის ყველაზე ძლიერი დარტყმა ვიგრძენი, მკერდი გამაცალა. რაღაც მომაწვა, წყლისკენ მივტრიალდი და ბოლო ხმაზე დავიყვირე.

— მარიაააა!

ცუდად ვსუნთქავ, თვალებში მიბნელდება, უკან მოვიხედე და... მარია ცეცხლთან დგას. ხელიდან მანქანის გასაღები გაუვარდა. მთვარის შუქზე აირეკლა თვალიდან ჩამოგორებული პატარა წვეთი. სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა ჩემკენ და... ზუსტად მაშინ, როცა მისი ტუჩი ჩემს ტუჩს შეეხო, მივხვდი, რომ გულმა 2-3-ჯერ გამოტოვა ფეთქვა. თავიდან ფეხებამდე საოცარმა ჟრუანტელმა დამიარა და ამქვეყნად ყველაზე ძლიერი გრძნობა დამეუფლა.

სიყვარული.

სიყვარულს რომ ბგერა ჰქონდეს, ალბათ გამაყრუებელი და დამანგრეველი ხმა ექნებოდა. და ზუსტად მაშინ, როცა მისი თავი ჩემს გულს შეეხო, გულმა მოქმედება გააგრძელა. ჩემი გული მისთვის ფეთქავს. ხელები მოვხვიე და მისი საოცარი სხეული შევიგრძენი. შემდეგ ისევ განმეორდა გულის შეჩერება. მისმა ცრემლებმა ტუჩები დამისველეს. თავს იქნევს და რაღაცას ამბობს, ხელი მომკიდა და ცეცხლთან მივედით, სადაც ბლოკნოტი იდო.

— მაპატიე.

ჩავეხუტე. არ მინდა, ტიროდეს, მინდა, სულ გაღიმებულს ვხედავდე. ჩემი გული მისთვის სონატებს უკრავს და მაგიჟებს.

— მანქანას ვკეტავდი.

გავუღიმე, ისევ ჩავეხუტე და იქამდე ვიყავით ასე, სანამ ცეცხლი არ ჩაქრა. ავანთეთ და გვერდზე მომიჯდა. ჩემი ხელი თავისი ლამაზი თითებით მიისაკუთრა და მხარზე თავი დამადო. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ის საუკეთესოა. უსიტყვოდ გაგებული მდგომარეობა. წეღან რა მოხდა?!

მე რაღაც ვთქვი. რაღაც არა, მე ვთქვი მარია. არა, დავიყვირე. ეს დაუჯერებელია. ვკვდებოდი და ყვირილით თავი გამოვიფხიზლე. შიში დავძლიე. ხო, მისი მეშვეობით მე საკუთარ თავს ვაჯობე. თუმცა ახლა მაინც ვერ ვილაპარაკებ. რომც ვლაპარაკობდე, ამ მომენტში ვერაფერს ვიტყოდი და რომც მესმოდეს, ვერაფერს ვერ გავიგონებდი. მარია რაღაცას ლაპარაკობს, მინდა მესმოდეს. ვიტანჯები, მაგრამ მისი სიახლოვე უფლებას არ აძლევს ტანჯვას, რომ ახლოს მოვიდეს.

— ისევ მღერი?

თავი არც აწია, ისე დამიწერა.

— შენ გელაპარაკები.

ჟრუანტელი ტვინიდან წამოვიდა, ფეხებამდე გაიარა და მიწაზე გადავიდა, მერე წყალზე გადავიდა, მერე მთებზე და მერე სადღაც დაიკარგა. არაფერი დამიწერია. ყველანაირად ცდილობს, რომ ჩემი „ნაკლი“ არ მაგრძნობინოს. ჩემში „საინტერესო“ ალბათ ის ნახა, რომ საუბრის მაგივრად ფურცელზე ვწერ. ჩემზე ვინმეს რომ წიგნი დაეწერა, ალბათ ყველაზე უინტერესო წასაკითხი იქნებოდა. თუმცა ვფიქრობ, მაინც სხვა დაინახა მან ჩემში. ასე მოსაუბრე ადამიანი ალბათ მეც დამაინტერესებდა, ჩემს ძველ უბანში ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა. მისი ლაპარაკი არავის გაუგონია. ზოგი ამბობდა, ენა აქვს ამოჭრილი და გიჟიაო. ჩვენს ქუჩაზე რაც კი უსახლკარო კატები და ძაღლები იყვნენ, ყველას ამ კაცის ქოხში ეძინა ღამით. საინტერესო ის იყო, რომ ეს კატები და ძაღლები დღისით ერთმანეთს ემტერებოდნენ. ღამე კი ერთად ეძინათ ამ კაცთან. ეს კაცი თავშესაფარს სთავაზობდა და როცა საჭმელი ჰქონდა, მათაც უწილადებდა, დილით კი ემშვიდობებოდა საღამომდე. სულ მინდოდა ამ კაცთან საუბარი, მაგრამ, შეიძლება კითხვა არ იცოდა და არ მინდოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო. ან შეიძლება ვერც ვბედავდი მასთან მისვლას. მეშინოდა. ხანდახან ხურდას ვაძლევდი, მაგრამ ლაპარაკით ვერა...

მარიას ჩაეძინა, მენდობა. ცოტა უცნაურია უცხო ადამიანის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ მეც ასე ვარ. მის გამო თავს გავწირავდი ნებისმიერ დროს. შესცივდება. ხელი კარგად მოვხვიე და გაეღვიძა. სულელი ვარ. დრო ვიხელთე და კარვიდან პლედი გამოვიტანე. მოვიფარეთ, ჩემი ხელი ისევ მიისაკუთრა. ხელისგულის ზოლებზე ნაზად მისმევს თითებს. საოცარი ღამეა. დიდი მთვარე ყველაფერს ანათებს, გარშემო უამრავი ვარსკვლავი ჰყავს შემოკრებილი. მე ჩემი ვარსკვლავი მყავს. ჩემი ზღვის ვარსკვლავი. როცა ცეცხლი ჩაქრა, წამოდგა, დამიწერა და კარავში შევიდა.

— ძილი ნებისა ნიკო.

პლედი მე დამიტოვა. იქ რას დაიფარებს, არ ვიცი. მხოლოდ ჩემი საძილე ტომარაა მთელ სიგრძეზე გაშლილი დასაწოლად. იდეაში მანდ უნდა დავწვეთ და პლედი დავიფაროთ. დიდი და თბილი პლედია, ამიტომ ორივეს გვეყოფა. ცოტა ხანს გავჩერდი, ცეცხლს მივაშტერდი. საოცარი რამეა. ვინმეს რომ ცეცხლი არ ჰქონდეს ნანახი, ვერც აღვუწერ, როგორია. ვერაფერს მივამსგავსებ. მისი ფერი, ფორმა, სითბო... მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი ბუნებრივია, ვფიქრობ, რომ

ის მაინც არაბუნებრივი და საერთოდ არაამქვეყნიურია. ბოლოს, რაც ფიჩხი დარჩა, ნაკვერჩხალს მივაყარე და კარავს მივაშურე. კარავი რომ გავაღე, მთვარის შუქმა ცოტა გამინათა, უმწეოდ მოკუნტული იწვა, ცხადია, სციოდა. ჩანთიდან ჩემი სვიტრი ამოვიღე და მივეცი. მე შარვალი ამოვიცვი და დავწექით. პლედი ორივეს კარგად გვყოფნის. ახლოს ვერ ვუწვები. თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობ. უცებ გადმოიხარა, მაკოცა და გადაბრუნდა. თავი სიზმარში მგონია. მხოლოდ მასზე ვფიქრობ. მის ღიმილზე, ნაკვთებზე, სურნელზე, მიმიკებზე. დღევანდელი დღით ვცხოვრობ, ვარსებობ და ვსუნთქავ. მობილური ამოვიღე და ნინას მივწერე.

— ძილი ნებისა.

ეკრანი არც ჩამქრალა ისე მალე მომწერა.

— ძილი ნებისა, ნიკო. თბილად ჩაიცვი.

არ მცივა. ვერ ვიჯერებ, რომ მარია ჩემ გვერდით წევს. ყველაფერი იმდენად კარგია... ძილმა ფლირტი დამიწყო და მალევე ჩამეძინა.

თვალებს ვახელ. გათენდა. სიზმარი არ მინახავს. მარია მოხვეულია და თავი ჩემს მკერდზე უდევს. ამომხედა. ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი თქვა, „დილა მშვიდობისა“, მოვეფერე, ვეხუტები. წარმოუდგენელია. ბლოკნოტი მუცელზე დამადო და დამიწერა.

— მივხვდი, რომ გაიღვიძე.

გამეღიმა, როგორ მიხვდა.

— გული აგიჩქარდა. მე და შენი გული მთელი ღამე ვსაუბრობდით.

ჩემი გულის ფეთქვას უსმენდა. გუშინ გაშვებული ჟრუანტელი უკან დამიბრუნდა.

07:17

გარეთ გამოვედი. საოცარი სანახავია აქაურობა. ნისლი მიწიდან ამოდის და წყალზე ზემოდან მიცურავს. მარიაც გამოვიდა, პლედი აქვს შემოცმული. ბუნება უფრო გაალამაზა. გაოცებული იყურება, მეც არ მინახავს მსგავსი რამ. მზე ამოდის და აქაურობას ჩუმად აღვიძებს. წყლიდან თევზები ხტებიან და ერთმანეთს ეთამაშებიან. არ მცივა. ბლოკნოტი ხელში ეჭირა და ნაწერი მომცა.

— ალბათ ამის სანახავად მოხვედი აქ.

თავი დავუქნიე. ვზივართ და ნისლიან შაორს ვუყურებთ. თავი ისევ ჩემს მხარზე უდევს და ჩემი ხელი ჩაკეტილი ჰყავს გრძელი თითების გალიაში. წყალი ნისლს ეთამაშება, ლამაზად ცეკვავენ. ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ. ცოტა ხანს ვიჯექით ასე. მერე ისევ დამიწერა.

— რომელ საათზე მიდიხარ?

დავითრგუნე.

— 9-ზე გზაზე უნდა ვიდგე.

ხელი მომიჭირა.

— დარჩი.

თვალები აუწყლიანდა. ვერაფერი დავუწერე. ჩავეხუტე. ისევ ჩემს გულს ესაუბრება. რამდენიმე წუთში კარავი დავკეცეთ, ჩანთა ჩავალაგე. ყველაფერი მიმაქვს, გულს აქ ვტოვებ. ძალიან მტკივა. აქამდე ფიქრით ვცხოვრობდი და ახლა ფიქრი მკლავს. იმაზე ფიქრი არც მინდა, რომ აქედან წავალ და შეიძლება მარია ვერც ვნახო. მანქანით გზაზე ავედით. ცრემლები ვერ შეიკავა, არ მინდა, ასე დავტოვო. ცრემლები ტუჩებით შევუჩერე. ვეალერსები ცხვირზე, შუბლზე, უცებ მომიშორა. ბლოკნოტი ჯიბიდან ამომაცალა, კალამი თვითონ ჰქონდა და წერა დაიწყო. რომ მორჩა, ყველაფერი ხელებში მომაჩეჩა, მაკოცა და წავიდა. წავიდა და თან წაიღო ყველა გრძნობა და ემოცია. უარს არ ვიტყოდი, რომ ვინმეს გულში დანა ჩაერტყა ან მანქანას გავეტანე. განშორება - ეს არის ყველა ფიზიკურ ტკივილზე მტკივნეული. ეს სიტუაცია ბოლოს მიღებს.

ნეტავ მოვკვდე!

ეს პირველად გავიფიქრე. მცივა. გონზე კარლომ მომიყვანა. ჩემი ჩანთა უკვე მანქანაში ჩაუდია და გახარებული მიყურებს. ესიამოვნა, რომ აქ დავხვდი. მანქანაში სულ უკან დავჯექი. ბლოკნოტი გადავშალე. იქ მარიას ნომერი ეწერა და ქვემოთ ტექსტი „ოპერაციის შემდეგ დამირეკავ და საკუთარი პირით მეტყვი, სად გნახო“.

რატომ არ მკლავს ვინმე?

რა დავაშავე?

ვკანკალებ, ისე მცივა. ტყიბულში ცოტა ხანს გავჩერდით, მარშუტკა ხალხით გაივსო და წავედით თბილისისკენ. ყველაფერს ავტომატურად ვაკეთებ. სამყარო გაშავთეთრდა. რა მომელის? რა მოხდება? იქნებ უკეთესი იქნებოდა აქ რომ არ წამოვსულიყავი? ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სიბრმავის და სიყრუის წუხილი მქონოდა, ახლა კი... არ უნდა წამოვსულიყავი. ან რა იქნებოდა, თავიდანვე რომ ყრუ ვყოფილიყავი, თავიდანვე რომ არ დაეძახათ ჩემთვის ნიკო, ყველაფერი ასეთი მტკივნეული არ იქნებოდა. მარიას არაფერში ვადანაშაულებ. მან ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთები მაჩუქა. ჩემი ჩუმი სიზმარი გაალამაზა. არ მინდა ეს სიზმარი დაბნელდეს და კოშმარად გადაიქცეს. რატომ მწირავს ასე ღმერთი. განა არსებობს ის? თუ, არსებობს, იცის, რაც მომელის?! ეგებ იცის და გამომიგზავნა ბედნიერება მარიას სახით. განა მე ამის ნახვა ვინატრე?! ხომ შეიძლება

სცოდნოდა, რომ ასე დავიტანჯებოდი ბედნიერების გამო. ისიც ხომ შეუძლია, რომ ოპერაციამ გაამართლოს. რით დავიმსახურე ამხელა ტანჯვა?! რომ შემეძლოს, ამას ახლავე დავამთავრებდი. არა, ნინა...

ჩემი გმირი დედა. ყოველთვის ისე მექცევა, თითქოს მესმის. როგორც მარია... მე თუ არ ვარ ბედნიერი, არ მინდა ნინაც ჩემსავით იყოს. არ მინდა ჩემ გამო მალე დაჭკნეს. სიბრმავეს ერთი პლუსი ექნება. ვერ დავინახავ მის ატირებულ სახეს, რომელიც ყოველთვის გულს მიგლეჯს. ეგ ცრემლები ჩემი ბრალია. მე რომ არა, ნინა ალბათ ბევრად ბედნიერი იქნებოდა. თუმცა ყოველთვის მეუბნება, რომ მისთვის ღმერთის საჩუქარი ვარ. ფიქრიც აღარაფრად მიღირს. უარყოფითობაში ვცდილობ დადებითი მხარეები ვიპოვო. ეს ხომ აბსურდია. საერთოდ ყველაფერი აბსურდია. იმედი ? იმედი წეროებს გაჰყვა. შორს.

ვიყინები. ვკანკალებ. გავლურჯდი. ვფიქრობ იმაზე, თუ რაზე ვფიქრობდი, როცა მარიასთან ყოფნის დროს ვფიქრობდი. მაშინ ყველაფერი ფერადი და ლამაზი იყო. ახლა კი რას ჰგავს აქაურობა?!

თვალები დავხუჭე.

რას ვხედავ ?

არაფერს.

არც სიბნელეა, არც წყვდიადი.

ჩემს სულს ვხედავ, როგორ იტანჯება.

გავახილე თვალები. „თბილისი 37კმ“. ნინას მივწერე, სადგურზე დამხვდეს. მალევე მივედი სადგურზე. ყარს აქაურობა. ნინა გასასვლელთან მანქანაში მელოდებოდა. მისკენ გავიქეცი, ჩავეხუტე და ბავშვივით ავტირდი. ვერ ხვდება, რა ხდება. დაბნეულია. რომ შემეძლოს, მაინც ვერ ვეტყოდი, რაც მტკივა. მობილური ამოიღო და დამიწერა.

— რა მოხდა ?

ვერ ვეტყვი.

— არაფერი. სახლში წავიდეთ.

იცის, რომ ეს არაფერი ჩემი ყველაფერია. კარგად მიცნობს ნინა. სახლში მივედით, ჩემს ოთახში შევედი და საწოლზე მკვდარივით დავესვენე. წამებში ჩამეძინა. 2 საათზე დავიძინე და მეორე დღის 3 საათზე გავიღვიძე. მაშინ მეძინა 25 საათი, როცა შეიძლება მთელი ცხოვრება ძილში გავატარო. სიზმარი ისევ არ მინახავს. უკვე რეალობაა სიზმარი. ჩუმი სიზმარი. ნინას ჩემ გვერდით სძინავს.

წამოვდექი,ვიბანავე,მერეჩანთიდანჩემიბლოკნოტიუნდაამომეღო, როცა ის დარჩენილი ერთი შოკოლადი გადმოვარდა „მე არასოდეს“

თამაშის დროს რომ დამრჩა. ჩავიმუხლე, ვჭამ და ცრემლები მომდის, ყველაფერი ერთად გამახსენდა. წამიერად თითქოს ისევ იქ ვიყავი, მარიას გვერდით. მომეჩვენა, რომ მისი შეხებაც ვიგრძენი. გული ისევ მისთვის უკრავს. არ ვიცი, როგორ მოახერხა უცხო ადამიანმა ჩემთან ასე დაახლოება. ის... ის უნიკალურია. გრძნობებზე არაფერი გვითქვამს, უსიტყვოდ ვგრძნობდით ყველაფერს. დიალოგს თვალები და გული მართავდნენ. ადამიანს რომ აგრძნობინო, თუ რამდენად ძვირფასია შენთვის, ამისთვის ლაპარაკი სულაც არ არის საჭირო. უკნიდან ნინა მომეხვია. ყველაფერს მოვუყვები. ახლა, თორემ შეიძლება შემდეგ ამის საშუალება, არც მქონდეს. ვუთხარი დავუწერდი, რაც მოხდა. ჩემს ოთახში შევედი, 27 წუთში კალამი სისხლისგან დავცალე. ყველაფერს ვერ ვაყალიბებ. კარგი იქნებოდა ფიქრები პირდაპირ ფურცელზე იწერებოდეს. იქ გატარებული თითოეული წუთის გახსენება დანასავით მერჭობა სხეულში. თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ნინამ ყველაფერი იცოდეს. როცა წაიკითხა, უემოციო სახით აბაზანაში შევიდა „საბანაოდ“. ზუსტად ვიცი, რომ ტირის. როცა გამოვიდა, ნაწერი მომაწოდა.

— ყველაფერი კარგად იქნება ნიკო. 5 საათზე მივდივართ. გაემზადე.

ცოტა გამიხარდა, რომ ამ ორ დღესთან დაკავშირებით არაფერი მკითხა. ვიცი, ბევრი რამ აინტერესებს, განსაკუთრებით - მარია. რომ ეკითხა მარიას შესახებ, ვერ აღვწერდი. მისი თმა, თვალები, ღიმილი, ნაზი კანი და სხეული... ისიც ცეცხლივით შეუდარებელია. გავემზადე და წავედით. მაღიზიანებს თბილისი. მანქანიდანაც ადვილი გასარჩევია ყალბი სახეები. ახლა რატომღაც ქუჩაში მარტო ცუდს ვხედავ. მანქანიდან ერთმანეთის ლანძღვა, ნაგვის ხის ძირში მიგდება, სხვის ცხვირწინ დაფურთხება. თვალები დავხუჭე და საავადმყოფომდე არ გამიხელია. როცა მივედით, ის ექიმი მოვიდა, ვინც ოპერაცია უნდა გამიკეთოს და რაღაცეები ამიხსნა. თურმე ახალ, ხელოვნურ უჯრედებს მინერგავენ. მე მხოლოდ ეს ვიკითხე...

— რა იქნება შემდეგ?

პასუხად მივიღე, რომ ის თავის მაქსიმუმს გააკეთებს. დანარჩენი ჩემი ტვინის უჯრედებზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მიიღებენ ახალ მეგობრებს. გამოკვლევებს საღამოს 7 საათზე გამიკეთებენ. ნინა გვერდიდან არ მშორდება. ახლა პალატაში ვწევარ. დღეს აქ ვიქნები. ხვალ დილით ოპერაცია.

თეთრ ჭერზე გაჩენილ პატარა ბზარს ვუყურებ. როგორც ჩემს პატარა ტრავმას შეუძლია ჩემი განადგურება, ისე შეუძლია ამ ბზარს მთელი შენობის დანგრევა და მიწასთან გასწორება. სიცარიელეს ვგრძნობ.

არარაობა ვარ. ნინა გვერდზე მიზის და მელაპარაკება. ახლა პირველი შემთხვევაა, როცა თვალებითაც ვერ ვუსმენ მას. სიცოცხლის უნარი წამერთვა. ყველა ემოცია და გრძნობა რაჭაში დავტოვე. მხოლოდ ფიქრი გამომყვა და ახლა მანაც დამტოვა. თვალების დახუჭვა არ მინდა. ის საზიზღარი ბზარი ზუსტად ჩემ ზემოთაა. რომ შემეძლოს ახლავე ამოვავსებდი. არ მინდა ძილმა ფლირტი დამიწყოს. ძილი რაში მჭირდება, თუ უკვე სიჩუმეში ვარ ჩაძინებული. სიზმრებს ისედაც ვეღარ ვნახულობ...

დილით ნინამ გამაღვიძა. ყველა აქაა: კახა, კახას მეუღლე, ჩემი ძიძა და ნინას სამი თანამშრომელი.

ექიმმა განმიმარტა.

თუ ოპერაცია წარმატებით დასრულდა, თავიდან სამი კვირა მხოლოდ სპეციალური აპარატით გავიგონებ, შემდეგ კიდევ ერთი ოპერაცია და ბედნიერი ვიქნები. ან ისევ სიზმარში გავიღვიძებ. მხედველობა ნელ-ნელა დამიქვეითდება და ექვს დღეში სულ გამიქრება.

ტკივილები არ მექნება. მინდა, რამე ვთქვა, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად მეშინია ლაპარაკის. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შიშს არ მივუტოვებივარ. ყოველი მოსალოდნელი წამის მეშინია. საოპერაციო საშინელი ადგილია. ნინამ შუბლზე მაკოცა და გავიდა. ექიმი სახეს მწმენდს, ალბათ ცრემლების გამო. მერე რაღაც გამიკეთეს და უსასრულობაში დავიკარგე. ვეღარაფერს ვგრძნობ, არაფერი მესმის, ვერაფერს ვამბობ.

***

თვალები გავახილე, ექიმი ჩემთან მოდის და რაღაცას მიკეთებს.

შემდეგ...

... გამარჯობა ნიკო, გესმის ჩემი ?

ვერაფერს ვამბობ, ცრემლები მომდის.